ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 4 მაისი, 2016 №104 (7030) ფასი: 50 თეთრი



## გიორგი პაპუაშვილი: „ხელისუფლება ცდილობს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები შეამციროს“

გვ.6

3 მაისიდან
ჰარიეტ ბიჩერ სტოუ
ბიძია თომას ქოხი
ოქროს ბიბლიოთეკა
ტომი 1
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



# „საქართველო შესაძლოა რუკაზე აღარ დარჩეს“



ზაალ კასრელიშვილი: „სანამ დეპუტატები იმას არკვევენ, ვინ ვისთან წევს, მეზობელი ქვეყნები ჩვენს ტერიტორიებს ეპატრონებიან“

გვ.3

## ბოტანიკურის გვერდითა ტერიტორია თანაინვესტირების ფონდმა შეიძინა

გვ.2





## ჯონდი ბაღათურია: „ეს პარლამენტი იმის ღირსია, რომ ხალხმა ჯოხებით გარეკოს“

„სოციალურ აგენტს უფლება ეძლევა, მშობლებს მცირეწლოვანი შვილი ჩამოართვას“

გვ.3



## ბაჩუკი ქარდავა: „ოპოზიციაში მიმდინარეობს გადაძახილი, რომ საჭიროა ერთობლივი ქმედება“

გვ.4





## სოსო შატბერაშვილი: „გარკვეულ ძალებს უნდათ დაამტკიცონ, თითქოს ხელისუფლება ატერორებს ოპოზიციას“

გვ.4

„საზოგადოებას ამზადებენ იმისათვის, რომ მომავალი პრეზიდენტი პაატა ბურჭულაძე იქნება“

ISSN 1987-9385



გვ.5

## გიორგი თავდგირიძე: „რუსეთის აგრესიული პოლიტიკა მთელ ევროპას უქმნის საფრთხეს“

# ბოტანიკურის გვერდითა ტერიტორია თანაინვესტირების ფონდმა შეიძინა

შორენა მარსაგიშვილი

**საალდგომო უქმეების დასრულების შემდეგ ბოტანიკური ბაღის გარშემო დაპირისპირება განახლდა. ნაციონალების სასტიკი და სულისშემძვრელი გაფრთხილების მიუხედავად, 3 მაისს მერიაში მაინც გაიმართა აუქციონი, რომელზეც ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ არსებული 29 ჰექტარი მიწა გაიყიდა.**

ამ მიწის გამო ალიაქოთი გასულ კვირას დაიწყო. ნაცმოძრაობის ლიდერებმა ნიკა მელიამ და ირაკლი აბესაძემ გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ბოტანიკური ბაღის კუთვნილი 4 ჰექტარი ბიძინა ივანიშვილს გადაეცა. მელია-აბესაძის დუეტმა 3 მაისს დაგეგმილი აუქციონის შესახებ გაავრცელეს ინფორმაცია.

მათი ცნობით, ბიძინა ივანიშვილი ბოტანიკურის მიმდებარედ არსებული 29 ჰექტარის შეძენას აპირებდა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ ტერიტორიაზე ცოტა ხნის წინ კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა დაიწყო. გზის მშენებლობას რამდენიმე ასეული ხე შეეწირა. იქვე მდებარეობდა მაგისტრალური მილსადენი, რომლის გადატანაზეც მერიამ 700.000 ლარი დახარჯა.

ამ ამბიდან ცოტა ხანში გზის მშენებლობა შეჩერდა და მიწა აუქციონზე გასაყიდად გაიტანეს. ნაციონალებმა მაშინვე თქვეს, რომ ამის უკან ივანიშვილი იდგა. მათ ნარმანია გააფრთხილეს, არ ჩაეტარებინა აუქციონი, წინააღმდეგ შემთხვევაში საპროტესტო აქციებით დაემუქრნენ.

აქცია მერიასთან მათ რამდენიმე დღის წინაც მოაწყვეს, მაგრამ მხოლოდ ვიცე-პრემიერ ირაკლი ლექვინაძის გამოჭერა შეძლეს. დავით ნარმანია გვიან ღამით შეეპარათ მერიაში.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულმა ნაციონალებს და მეოცნებეებს ბოტანიკური ბაღი დაავიწყა. ეს თემა გუშინ, 3 მაისს, გახდა აქტუალური.

ხმაური ნაციონალებმა დაიწყეს.

ნიკა მელიამ საგანგებო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, თბილისელები არ დაუშვებენ, რომ კულტურული და ისტორიული ტერიტორია გახდეს მილიარდერის კერძო ფაზენდა.

— მიუხედავად საზოგადოების პროტესტისა, თბილისის მერია 15:00 საათზე ჯიუტად მაინც ატარებს აუქციონს, რომელზეც იგეგმება ბიძინა ივანიშვილისთვის დანაშაულებრივად, წინასწარი შეთანხმებით და უამრავი სხვა პროცედურული დარღვევით ზუსტად იმ 29 ჰექტრის გადაცემა, რომელზეც რამდენიმე კვირის წინ მიმდინარეობდა თბილისისა და თბილისელებისთვის საგზაო-სამშენებლო სამუშაოები და სწორედ ეს 29 ჰექტარი დღეს



არის ცალკე ლოტად გამოტანილი აუქციონზე.

ასევე, მოგეხსენებათ, წინა სამშაბათს ზუსტად საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ბატონმა ივანიშვილმა აბსოლუტურად მალულად უნიკალური თბილისის ბოტანიკური ბაღისგან მიიტაცა 4 ჰექტარი ტერიტორია ისე, რომ ამის შესახებ ამ ქალაქში არავინ, გარდა თვითონ ივანიშვილისა, ბოტანიკური ბაღის დირექტორისა და ასევე, მერიის მაღალჩინოსნებისა, საქმის კურსში არ იყო, — განაცხადა მელიამ აუქციონამდე რამდენიმე საათით ადრე.

მისი თქმით, არც ერთ წინა მთავრობას აზრადაც არ მოსვლია, რომ 29 ჰექტარი დაექვემდებარებინა რეალიზაციისთვის.

— ამ ქალაქში არსებობს ტერიტორიები, რომლებიც არ იყიდება. მაგალითისთვის, შეუძლებელია გაიყიდოს რუსთაველის გამზირზე გზის სავალი ნაწილი. შეუძლებელია, დაექვემდებაროს რეალიზაციას რუსთაველის გამზირზე ფეხით სავალი ნაწილი. სწორედ ასეთი მასშტაბის და ღირებულების მატარებელ ტერიტორიაზე გვაქვს საუბარი, როდესაც ვახსენებთ 29 ჰექტარს, — აღნიშნა ნიკა მელიამ.

მისი თქმით, დავით ნარმანიამ ივანიშვილის ხათრით ამ მიწაზე ფასი დააგდო.

— 29 ჰექტარი ბატონმა ნარმანიამ შეაფასა, არც მეტი და არც ნაკლები, 6 მილიონ ლარად, ანუ კვადრატული მეტრი განსაზღვრა მხოლოდ 21 ლარად. მაშინ როდესაც, შედარებისთვის, 10 წლის წინ თავად ივანიშვილმა საკუთარი რეზიდენციის მიმდებარედ ტერიტორია შეიძინა კვადრატული მეტრი 36 ლარად მშენებლობის უფლების გარეშე. ამ 29 ჰექტარზე როცა ვსაუბრობთ, ასევე საუბარია მშენებლობის უფლებაზე და ორჯერ უფრო იაფად აპირებს სახელმწიფო საკუთრების ხელში ჩაგდებას ბატონი ივანიშვილი, — განაცხადა ნიკა მელიამ.

ნაციონალებს მხარი სხვა ოპოზიციონერებმაც აუბეს.

თავისუფალი დემოკრატების ლიდერის ირაკლი ალასანიას განცხადებით, ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მთელი ტერიტორია მისი ეზო ჰგონია.

— არ შეიძლება საზოგადოების საკუთრებას, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს ადამიანი მოეპყროს ისე, როგორც დღეს ეპყრობა არაფორმალური მმართველი ბიძინა ივანიშვილი. მას ჰგონია, რომ საქართველოს მთელი ტერიტორია არის მისი სახლი, მისი ეზო. ეს ასე არ არის და ჩვენ მას ამას დავუმტკიცებთ. ჩვენ ძალიან მყარად ვდგავართ იმ აზრზე, რომ ეს უკანონობა აღმოვფხვრათ საქართველოში, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი ანი მიროტაძე 29 ჰექტრის გასხვისებით აღფრთოვანებული არ ყოფილა. მან მერიას სთხოვა კიდეც, რომ აუქციონი არ გაემართათ.




ამის მიუხედავად, მისთვის არც ნაციონალების პროტესტი აღმოჩნდა მისაღები. მიროტაძის ვარაუდით, მათ ნერვიულობას პოლიტიკური ელფერი აქვს.

ბოტანიკური ბაღის გარშემო საკუთარი მოსაზრებების დასაფიქსირებლად ნამდვილი რიგი დააყენეს მეოცნებეებმა. რა თემაზეც არ უნდა დაეწყოთ საუბარი, ყველგან იმას ამტკიცებენ, როგორ უყვარს ივანიშვილს ბუნება.

დეპუტატ გია ჟორჟოლიანის მტკიცებით, ივანიშვილს ბოტანიკური ბაღის მისამართით მხოლოდ დადებითი მიზნები ამოძრავებს.

— ქართუ ჯგუფმა ბოტანიკური ბაღის დასახმარებლად გარკვეული ღონისძიებები განახორციელა. ისევე, როგორც მანამდე განუხორციელებია. 23 მილიონი ლარია დახარჯული თბილისისა და ბათუმის ბოტანიკური ბაღების მხარდაჭერისთვის და ეს არის მოცემული საბუთებში, — განაცხადა ჟორჟოლიანმა.

დეპუტატი გუგული მაღრაძე პრობლემას ვერ ხედავს იმაში, რომ ბოტანიკური ბაღი კერძო მფლობელობაში გადავიდეს.

— მთავარია, რომ ბოტანიკური ბაღი არსებობდეს და ეს უფრო უკეთესად კერძო ინვესტორის ხელში გაკეთდება თუ სახელმწიფოს ხელში, იმის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. არის ბევრი საქმე, რომელსაც კერძო ინიციატივა უფრო კარგად აკეთებს და არის რაღაცები, რაც საჯარო მმართველობის ხელშია და არ კეთდება. რაც შეეხება აუქციონს, ამაზე დიდი ხანია იყო საუბარი. ბოტანიკურ ბაღს საკმაოდ უჭირდა თავის მოვლა. კადრებიც შეამცირეს, ორი-სამი კადრი დადიოდა მხოლოდ და ეს აუქციონის იდეა ახალი არ არის, — განაცხადა მაღრაძემ.

ამ საკითხის მიმართ საოცრად ნეიტრალური იყო რესპუბლიკელთა ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი.

ის პრობლემას ვერ ხედავს იმაში, რომ ყოფილმა პრემიერმა ბოტანიკური ბაღის სადავო ტერიტორია შეიძინოს.

— ბიძინა ივანიშვილი ღმერთი არ არის, რომ არაფერი არ შეეშალოს, მაგრამ თუ გაყიდვა კანონიერად ხდება, გვარს მნიშვნელობა არ აქვს, — განაცხადა ბერძენიშვილმა.

* * *

ნაციონალების ათასგზის მოწოდების მიუხედავად, მერიაში აუქციონი მაინც გაიმართა.

ნარმანიას უწყებამ მიწა 6.326.495 ლარად გაყიდა.

კრწანისი-შინდისის გზის მიმდებარედ არსებული 29 ჰექტარი მიწის ნაკვეთი აუქციონზე თანაინვესტირების ფონდის შვილობილმა კომპანიამ შეიძინა.

აღნიშნულს ადასტურებს ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ქარსელაძე.

ბოტანიკური ბაღის თემაზე კომენტარი გააკეთა დავით ნარმანიამ.

მერი აღნიშნავს, რომ კანონმდებლობით ყველაფერი წესრიგშია.

— მე ვიცნობ პროექტთან დაკავშირებულ დეტალებს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროექტი მხოლოდ გამოადგება ქალაქს და ჩვენს თანამოქალაქეებს. კანონმდებლობით ყველაფერი წესრიგშია. ყველა პროცედურის დაცვით და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში მიმდინარეობს პროცედურები, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ნარმანიას შემდეგ განცხადება მისმა ეპარქიამაც გაავრცელა. განცხადებაში ნათქვამია, რომ აუქციონზე გამოტანილი იყო ოქროყანის ტერიტორიაზე არსებული 29 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და ის 6.326.495 ლარად გაიყიდა.

მერიის ინფორმაციით, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, სამშენებლო ნებართვის აღებიდან არაუგვიანეს 36 თვის ვადაში, მაგრამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 48 თვის ვადაში, განახორციელოს 80 ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი უნდა იყოს არაუმეტეს 20.000 კვ. მ.

უწყების ცნობით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული პროცედურები.

მათი მტკიცებით, აღნიშნული ტერიტორია არასდროს ყოფილა ბოტანიკური ბაღის საკუთრება.

# გიორგი კვესიტაძე: „სტუდენტებს ეკითხებიან უნივერსიტეტის ბედ-იღბალს, 90 აკადემიკოსს კი არავინ არაფერს ეკითხება“



— სტუდენტებს ეკითხებიან უნივერსიტეტის ბედ-იღბალს, 90 აკადემიკოსს კი არავინ არაფერს ეკითხება, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ საქართველოს პარლამენტის მეცნიერების, კულტურისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარის, ივანე კიღურაძის მიერ მომზადებული ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით განაცხადა.

კვესიტაძის თქმით, ივანე კიღურაძის მიერ მომზადებული „მეცნიერებათა აკადემიის შესახებ კანონპროექტში“ ცვლილებები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან შეთანხმებული არ ყოფილა.

— ბატონ ივანე კიღურაძის კანონპროექტის ახალი ვარიანტი გამოქვეყნდა. „აკადემიის შესახებ კანონი შეცვლილია“ და იგი მეცნიერებათა აკადემიისთვის მიუღებელია. უნივერსიტეტის სტუდენტებს ეკითხებიან უნივერსიტეტის ბედ-იღბალს. აქ კი არის 90 აკადემიკოსი და მათ არავინ არაფერს ეკითხება. როგორ შეიძლება?! — განაცხადა კვესიტაძემ და დასძინა, რომ ცვლილებათა პროექტი აკადემიის წევრობისთვის ასაკობრივ ცენზს აწესებს.

— ვანო კიღურაძის ქმედება პირად ანგარიშსწორებას უფრო ჰგავს. მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა არც ჩვენთან აქვს, არც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და არც კულტურის მინისტრთან. ფაქტიურად ეს არის დარგები, რომელთაც პარლამენტის მეცნიერების, კულტურისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარე კურირებს, — აღნიშნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ.

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებების პროექტში საუბარია საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომლის მიხედვითაც, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტზე ასაკობრივი შეზღუდვა გავრცელდება.

პროექტის თანახმად, ამ ორ თანამდებობაზე არ შეიძლება აირჩეს პირი 70 წლის ასაკიდან. ამავე ცვლილებებით, მეცნიერებათა აკადემიაში წევრ-კორესპონდენტთა ინსტიტუტს, სტიპენდიანტთა ინსტიტუტი ჩაანაცვლებს. აკადემიას სტიპენდიანტების არჩევისა და მათთვის 1.000-ლარიანი ყოველთვიური ანაზღაურების დანიშვნის უფლებამოსილება მიეცემა.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საქართველო შესაძლოა რუკაზე აღარ დარჩეს“

## ზაალ კასრელიშვილი: „სანამ დეპუტატები იმას არკვევენ, ვინ ვისთან წევს, მეზობელი ქვეყნები ჩვენს ტერიტორიებს ეპატრონებიან“



შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არ ჩქარობს ხელისუფლება სახელმწიფო საზღვრების დადგენას, რა ტერიტორიები გადადის მეზობელი სახელმწიფოების ხელში, რა მექანიზმის გამოყენება შეუძლია საქართველოს, რას უპირებენ ნატო და რუსეთი ერთმანეთს? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.**

**ზაალ კასრელიშვილი:**

– საზღვრებთან დაკავშირებით კატასტროფული ვითარებაა. ნაციონალური მოძრაობა ისე წავიდა ხელისუფლებიდან, რომ სახელმწიფო საზღვრების დემარკაცია არ მოახდინა. ამ საკითხის მიმართ ინტერესს არც შევარდნაძის ხელისუფლება ამჟღავნებდა. ამის მიუხედავად, მაშინ სადავო მონაკვეთების დადგენაზე იყო პატარ-პატარა მცდელობები. რაც ძირითადად გარიგება–მორიგებით დასრულდა და არა საზღვრების დემარკაციით.

მგონი არავისთვის უცხო არ არის, რომ ნებისმიერი სახელმწიფო იწყება საზღვრიდან. სახელმწიფოს თუ შევადარებთ კერძო სახლს, იმის მიხედვით, თუ როგორი ღობე აქვს შემოვლებული, შეგვიძლია მის მეპატრონეზე ვიმსჯელოთ.

***– საქართველოს ეს ღობე რომ საერთოდ არა აქვს?***

– საუბედუროდ ჩვენი ქვეყანა გადაიქცა ნამდვილ „პრახადნოი დვორად“, სადაც უპრობლემოდ შეგიძლია გაიჯლიგინო სამხრეთიდან ჩრდილოეთით, აღმოსავლეთიდან – დასავლეთით. ცენტრალურ მაგისტრალებზე საკონტროლო გამშვები პუნქტები რომ არის განთავსებული, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ეს საზღვრების დასაცავად საკმარისი არ არის. ან რა უნდა დაიცვა, როცა არც ერთ ქვეყანასთან სახელმწიფო საზღვარი დადგენილი არ არის.

***– ერთადერთ გამონაკლისად სახელდებოდა თურქეთი, თუმცა ამ მიმართულებითაც გაჩნდა რაღაც პრეტენზიები.***

– საქართველოს ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოსთან აქვს ტერიტორიული პრეტენზიები, რომლებიც ძალიან მარტივად – საზღვრების დემარკაციით შეიძლება მოგვარდეს. ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც 1990-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე პრეტენზიები არ გამოუთქვამს, ეს არის თურქეთი. ისინი დასჯერდნენ საბჭოთა კავშირის მიერ დადგენილ საზღვრებს.

პრეტენზიების გამოცხადების შემთხვევაში თურქეთთანაც პრობლემები შეგვექმნება. არც ქართული დიპლომატია, არც ქართული პოლიტიკური ელიტა, არც არასამთავრობოები არ არიან მოწოდების სიმაღლეზე. ისინი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ღირსეულ დამცველებად ვერ გამოდგებიან.

***– ღირსეულ დამცველებად ვერ გამოდგებიანო ამბობთ და იმას მაინც თუ ადგენს ვინმე, ჩვენმა მეზობლებმა რა ტერიტორია მიითვისეს?***

– სამწუხაროდ, ქართველმა პოლიტიკოსებმა და არასამთავრობოებმა მარტო ერთმანეთის ლანძღვა იციან. ზეპირად იციან, ვის რა ფერის ტრუსიკი აცვია და ვინ ვისთან წევს, სამაგიეროდ, წარმოდგენაც კი არ აქვთ, რა არის სახელმწიფო საზღვარი. სულ რამდენიმე დეპუტატი გვყავს, რომელსაც წარმოდგენა აქვს გეოგრაფიაზე და იცის ისტორია. საზღვრების დემარკაციის მიმართულებით არც ამ ხალხისგან მოგვისმენია რამე. ამ მიმართულებით არც პოლიტიკური პარტიები აქტიურობენ.

მათ არასდროს არაფერი უთქვამთ სოჭის მიმდებარე ტერიტორიასა და დვალეთზე. არადა, ორივე ტერიტორია ჩვენი იყო. დვალეთი სულ რაღაც 1922 წელს გადაეცა რუსეთს და ამის შემდეგ გაიხსნა ძაბრის ყელივით ცხინვალის პრობლემა. დვალეთში რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის ციხესიმაგრე იყო, რომლებიც ჩრდილოეთიდან შემომავალ 3 გზას აკონტროლებდა. როგორც კი ეს ტერიტორია რუსეთმა წაიღო, აბსოლუტურად უკონტროლო გახდა ეს ყველაფერი.

დღემდე მოუგვარებელია დავით გარეჯის პრობლემა აზერბაიჯანთან, რომელიც არც ქართველების ბრალია და არც აზერბაიჯანელების.

***– აბა ვისი ბრალია?***

– ეს საბჭოთა ამზომველების ბრალი გახლავთ. მათ საკუთარი შეხედულებისამებრ გადაანაწილეს ტერიტორიები. მინდა იცოდეთ, რომ ყველაზე იოლად ამ პრობლემის მოგვარება შეიძლება. სამწუხაროდ არც აზერბაიჯანთან მიდის მოლაპარაკებები.

საზღვრების დემარკაცია არც სომხეთთან მომხდარა. ამის წყალობით, სადახლოს და წითელი ხიდის მიდამოებში მოიწვენ და მოიწევენ. სომხები თავის საზღვრებს გადმოსცდნენ და გადმოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

საზღვრების დემარკაცია არ მოგვიხდენია არც თურქეთთან და მათაც რაღაც გაუგებარი პრეტენზიები გაუჩნდათ. ეს მაშინ როცა თურქეთის ტერიტორიის 1/3 ისტორიული საქართველოა. 2922 წელს ყარსის ხელშეკრულებას 100 წლიანი ვადა გასდის და საქართველოს ხელისუფლება მზად უნდა იყოს. ოფიციალური თბილისი ამ მიმართულებით არაფერს აკეთებს. აე იყო შევარდნაძის და სააკაშვილის დროს, ასე ახლაც.

როცა დაკარგული გაქვს ტერიტორიები და დარჩენილსაც ვერ იცავ კარგად, იქმნება არასტაბილურობის განცდა. ამის გამო საქართველოში შემოსვლას მსოფლიოში ცნობილი არცერთი ბრენდი არ მოისურვებს. ამ ბრენდების შემოსვლის გარეშე კი საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობაზე საუბარიც კი არ შეიძლება.

***– ვიღაც შემოგედავებათ და გეტყვით რომ საქართველოში რამდენიმე ცნობილი ბრენდია შემოსული.***

– თუ ვინმე მაკდონალდსის მაგალითს მომიყვანს, ვეტყვი რომ მაკდონალდსი ბრენდია, მაგრამ მე ბევრად უფრო სერიოზულ ბრენდებზე ვსაუბრობ. ბრენდის შემოსვლას შემთხვევით არ ვუსვამ ხაზს. ერთი მათგანის შემოსვლა დანარჩენი ბრენდებისთვის იქნება სიგნალი. ყველა ჩათვლის რომ აქ სტაბილურობაა. დღეს არსებული ვითარება კი სტაბილურობის განცდას არ ტოვებს. მითუმეტეს მაშინ როცა ჩვენი მეზობელი ქვეყანა არის რუსეთი.

საქართველოში ამ ამბისთვის სერიოზული ყურადღება არ მიუქცევიათ, მაგრამ რუსეთის მიმართულებით სერიოზული ამბები ხდება. ნატომ გადაწყვიტა, ევროპას და რუსეთს შორის საზღვრები გააძლიეროს. ამ მისიის შესასრულებლად პოლონეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში და გერმანიაში 5.000-მდე კარგად გაწვრთნილი და კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცი შეიყვანეს. ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი ასეთ განკარგულებას არ გასცემდა, რაიმე სერიოზული ინფორმაცია რომ არ ქონდეს.

***– რა ინფორმაცია უნდა ქონდეთ? რუსეთი ევროპაში აპირებს შეჭრას?***

– ფაქტიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ ნატოს სამხედრო დაზვერვას რაღაც სერიოზული ინფორმაცია აქვს. რუსებს საბჭოთა კავშირის აღდგენის სურბილი უკვე იდეაფიქსად ექცათ. ამ მიზნის მისაღწევად ეტყობა რაღაც გეგმები არსებობს. ამიტომაც გადაწყვიტა ნატომ ბალტიისპირეთის დაცვა.

ნატოს სამხედრო დაზვერვა სულ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ჯონდი ბაღათურია: „ეს პარლამენტი იმის ღირსია, რომ ხალხმა ჯოხებით გარეკოს“

## „სოციალურ აგენტს უფლება ეძლევა, მშობლებს მცირეწლოვანი შვილი ჩამოართვას“

ნონა ცაბაძე

**ქართული დასის ლიდერი ჯონდი ბაღათურია პარლამენტის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ გამოდის. „ახალი თაობა" ჯონდი ბაღათურიასთან ინტერვიუს გთავაზობთ.**

***– რას აპროტესტებთ, ბატონო ჯონდი?***

– ვაპროტესტებთ კანონს, რომლის ფარულად გატანასაც ცდილობდა პარლამენტი და რომლის მიხედვითაც სოციალურ აგენტს უფლება ეძლევა, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, მშობლებს მცირეწლოვანი შვილი ჩამოართვას. პარლამენტმა მორიგი მასშტაბური ღალატი ჩაიდინა და გასულ მძიმე კვირაში, მეორე მოსმენით, იურიდიულ კომიტეტში განიხილა აღნიშნული კანონი.

***– სოციალურ აგენტს შეეძლება ერთპიროვნულად, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე წაართვას ოჯახს ბავშვი?***

– დიახ, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე! რომელიმე ჰომოსექსუალის ან გრანტებით დაფინანსებული რომელიმე მოღალატის დაბეზღების საფუძველზე, სოციალური აგენტს შეუძლია მივიდეს სახლში, ვალდებული ხარ, გაუღო კარი, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიძახებს პოლიციას და მას შეუძლია, ერთპიროვნულად, მისი გადაწყვეტილების საფუძველზე, წაგართვას ბავშვი! მერე შეგეძლებათ ამის გასაჩივრება, თუმცა ან დაიბრუნებთ შვილს და ან ვერ დაიბრუნებთ.

***– ეს რამდენად სწორი და სამართლიანია?***

– სამართლიანი კი არა, ეს დანაშაულია! მე შემიძლია სტატისტიკაც მოვიშველიო. საფრანგეთში ამ კანონის მიღების შემდეგ, 110 ათასი ბავშვია წართმეული და ოჯახში დაუბრუნებელი. გაცილებით მეტი იყო, მაგრამ 110 ათასმა ოჯახმა ვერ დაიბრუნა ბავშვები. გერმანიაში 77 ათასი ბავშვია გაყვანილი და ვერ დაბრუნებული ოჯახებში.

***– რა შემთხვევაში შეუძლია სოციალურ აგენტს ეს გადაწყვეტილება მიიღოს?***



– სწორედ ეს არის მთავარი შეკითხვა. სოციალურ აგენტს შეუძლია ეს გადაწყვეტილება მიიღოს, თუკი მშობლებს ბრალს დასდებენ მცირეწლოვან ბავშვზე ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ან ეკონომიკურ ძალადობაში. ან ბავშვის კონსტიტუციური უფლებების უგულებელყოფაში. მათ შორის საბაზისო განათლების უფლების უგულებელყოფაში!

***– იქნებ მკითხველისთვის გასაგებ ენაზე განვმარტოთ, რას ითვალისწინებს ყოველივე ეს?***

– მაგალითად, საბაზისო განათლების უფლების უგულებელყოფა ნიშნავს იმას, რომ თუ იმ სკოლაში, სადაც თქვენი შვილი სწავლობს, შემოიღეს სექსუალური აღზრდა, ან ჰომოსექსუალთა გაკვეთილები და თუკი თქვენ შვილს აუკრძალავთ მსგავს გაკვეთილზე დასწრებას, ეს თქვენ ჩაგეთვლებათ საბაზისო განათლების უფლების უგულებელყოფად. ამის გამო აგენტს თავისუფლად შეეძლება, ჩამოგართვათ ბავშვი და სანამ თქვენ შეძლებთ და საკუთარ შვილს დაიბრუნებთ, ან ვერ დაიბრუნებთ, ბავშვს რეალურად ციხეში უწევს ყოფნა. ეს მისთვის ციხეა!

***– ეს მცირეწლოვანი ბავშვისთვის სერიოზული სტრესი არ იქნება?***

– რასაკვირველია! ხვალ, შვიდის ნახევარზე, მე ამოვიღებ ევროპაში განხორციელებული ასეთი ძალადობის ფაქტებს. ეს არის ოჯახის ტრაგედია! ბავშვები გაჰყავთ ძალით! ტირის ბავშვი, არ უნდა დედ-მამასთან დაცილება და ის ძალით მიჰყავთ! დედამ რომ შვილი დასაჯა და, მაგალითად, ჯინსები არ უყიდა, ამის გამო მას დედასთან დაშორების სურვილი ხომ არ გაუჩნდება?! ეს კანონი არის პარლამენტის მორიგი ღალატი!

***– რა მიზანს ემსახურება ამ კანონის შემოღება?***

– ეს არის პირდაპირ დარტყმა ოჯახზე! ბოლო წლებია, მთავარი შეტევის ობიექტი არის ქართული ტრადიციული ოჯახი! ანტიდისკრიმინაციული კანონი და ესეც არის ოჯახზე შეტევა, რომ ოჯახში შემოგეჭრას სახელმწიფო და დაგაშანტაჟოს შვილის წართმევით! ეს არის დიქტატი გარედან, ეს არის ამერიკულ-ევროპული ახალი სტანდარტი! ეს არის თავსმოხვეული კანონი, რომელსაც ჩვენი პარლამენტის წევრები უსირცხვილოდ მხარს უჭერენ.

***– პარლამენტში ამის მოწინააღმდეგენი არ არიან?***

– ნაწილმა ეს იცის და უსირცხვილოდ უჭერს მხარს, ხოლო 80% ამას არ კითხულობს. გთავაზობთ ჟურნალისტებს, მიდით პარლამენტში და ჰკითხეთ დეპუტატებს, ორი მოსმენით ხომ გასულია ეს კანონპროექტი და, საერთოდ, სათაური თუ იციან კანონის, ან რომელიმე მუხლის შინაარსი. დარწმუნებული ვარ, არც წაუკითხავთ, თორემ ბევრი ისეთი ადამიანია იქ, რომელიც შვილის ოჯახისთვის წართმევას არ დაეთანხმება!

***– ვინ არის კანონპროექტის ინიციატორი?***

– კანონპროექტის ინიციატორი არის იუსტიციის სამინისტრო, თეა წულუკიანი და მიმაჩნია, რომ ეს კიდევ ერთი დიდი სირცხვილია იუსტიციის სამინისტროსი! მაგრამ შენ, პარლამენტის დეპუტატი რომ ხარ და პენსიონერზე 25-ჯერ მეტ ხელფასს რომ იღებ და ზედ პრემიებს და ხელფასის დანამატს, ვალდებული ხარ, რომ ეს ორგვერდიანი კანონი წაიკითხო! წაიკითხო და ნახო, რას უჭერ მხარს! ისეთ ვიგინდარა პარლამენტარებს, რომლებიც შემთხვევითობის წყალობით პარლამენტში მოხვდნენ და დღეს დეპუტატი ჰქვიათ, ვინ მისცა უფლება, რომ მშობლებისთვის შვილის წართმევას დაუჭირონ მხარი?!

***– ვის გულისხმობთ?***

– ძალიან ბევრს! თუნდაც გუგული მაღრაძეს, რომელმაც დღეს ჩემი განცხადებები გააპროტესტა, ვინ მისცა იმის უფლება, რომ ფილოსოფიურად ახსნას, თურმე როგორ სწორ გადაწყვეტილებებს იღებენ. გავიდეს ერთი ქუჩაში და ხალხს აუხსნას, რომ ოჯახიდან შვილის წაყვანა შეიძლება, თუკი თქვენ ეკონომიკურ ბერკეტებს იყენებთ შვილის წინააღმდეგ. განა ერთ და ორ მშობელს უთქვამს შვილისთვის, რომ, მაგალითად, არ გიყიდი შარვალს ან ფეხსაცმელს, თუკი მაღალი აკადემიური მოსწრება არ გექნება?! ეს ძალადობაა შვილზე?! ამდენი მოღალატე და ამდენი უტვინო ადამიანი პარლამენტში უკვე კურიოზია! ეს პარლამენტი იმის ღირსია, რომ ხალხმა ჯოხებით გარეკოს! მე ვატყობ, რომ ასე მოუწევთ!

***– თუკი მიიღო პარლამენტმა ეს კანონპროექტი და თქვენმა პროტესტმა არ უშველა, მაშინ?***

– ორი მოსმენით უკვე მიღებულია და მესამე მოსმენით აუცილებლად უნდა შეაჩერონ. ჩვენ ყველანაირად შევეცდებით დავარწმუნოთ პარლამენტის წევრები, რომ ამას მხარი არ დაუჭირონ. თუ არ შეაჩერებენ და მაინც დაუჭერენ მხარს, როგორ ზომებს მივმართავთ, ამას უახლოეს დღეებში შეგატყობინებთ.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოსო შატბერაშვილი: „გარკვეულ ძალებს უნდათ დაამტკიცონ, თითქოს ხელისუფლება ატერორებს ოპოზიციას“

## „საზოგადოებას ამზადებენ იმისათვის, რომ მომავალი პრეზიდენტი პაატა ბურჭულაძე იქნება“

მარიამ მჭედლიშვილი

**არსებობს მოსაზრება, რომ დესტაბილიზაციის მცდელობა საქართველოში წინასაარჩევნოდაც იგეგმება. ემსახურება თუ არა ამას ახალი პარტია „გირჩის" ჩუღურეთის ოფისზე თავდასხმა? მემარცხენე ალიანსის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ არეულობა ახლაც და არჩევნების შემდეგაც ნაციონალური მოძრაობის ინტერესებშია.**



**სოსო შატბერაშვილი:**

– ოპოზიციურ პარტიაზე თავდასხმა არ შეიძლება აძლევდეს ხელს ხელისუფლებას. დანამდვილებით რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ არის საფუძველი განვაცხადოთ, რომ ეს აწყობს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. ითვლება, რომ „გირჩი“ დაუპირისპირდა ნაციონალებს, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. „გირჩი“ და ნაციონალები ერთი ძალის განშტოებებია. ასე თავის დროზე დაიყო მოქალაქეთა კავშირი და საკუთრივ მოქკავშირის გარდა, გაჩნდა ჟვანიასა და სააკაშვილის ჯგუფები. ამჟამად ნაცმოძრაობის ნამდვილი რეიტინგი დაახლოებით 5%-ია. ამიტომ ისინი იყოფიან, მრავლდებიან და ყველა ხერხს მიმართავენ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. გარკვეულ ძალებს, რომლებსაც აწყობთ რომელიმე პარტიის ოფისზე თავდასხმა, უნდათ იმის დამტკიცება, თითქოს ხელისუფლება ჩაგრავს და ატერორებს ოპოზიციას.

***– გახშირდა განცხადებები იმის შესახებ, რომ მომავალი პარლამენტი, ანუ მთლიანობაში, ხელისუფლება არალეგიტიმური იქნება.***

– ეს სხვა არაფერია, თუ არა ვარდების რევოლუცია-2-ის დაანონსება. 2003 წელს, იმ ცნობილი მოვლენების წინ, ნაციონალური მოძრაობა ხშირად ახსენებდა მაშინდელი ხელისუფლების არალეგიტიმურობას. ამის პარალელურად იყო შეძახილები არჩევნების გაყალბებაზე. სწორედ ამ თემებით გამოიყვანეს ხალხი ქუჩაში. მაშინ ნაციონალური მოძრაობა ასეთი მტრული ძალა არ იყო. ახლა „ქართული ოცნების“ რეიტინგი კატასტროფულად დაეცა, მაგრამ მისი მომხრეების ხმები არ წამოსულა გაკოტრებული ნაციონალური მოძრაობის მხარეს.

***– ანუ ვარდების რევოლუცია-2 ვერ განხორციელდება?***

– ვერ განხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობა თავის განაყოფებთან, თანამზრახველებთან და ლობისტებთან ერთად ამისთვის გულმოდგინედ ემზადება. ნაციონალების ტექნოლოგიები მარტო პოლიტიკოსებმა კი არა, საზოგადოებამაც შეისწავლა. ხალხი ნაცმოძრაობას არ ეთანხმება.

***– ხალხის აზრით, ქვეყანა არასწორად ვითარდება. აირაის კვლევით, გამოკითხულთა თითქმის 70 % თვლის, რომ ქვეყანა სწორი გზით არ მიდის.***

– ეს აბსურდული მონაცემია. ძირითადად, ყალბდება ხოლმე პოლიტიკური რეიტინგები, მაგრამ ეს მონაცემიც აცდენილია რეალობას.

***– რატომ? უკმაყოფილო ბევრია.***

– მძიმე სოციალური ფონია, ცუდად მუშაობს მთავრობა, პარლამენტი სამარცხვინოა, ბევრი მაღალჩინოსნის მთავარი საზრუნავი პრემიები და ჯიპებია. ამის მიუხედავად, ადამიანების უმრავლესობა ვერ იტყვის, რომ ქვეყანა არასწორად ვითარდება. ამ ხელისუფლების პირობებში ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი ევროპასთან უვიზო მიმოსვლამდე. მოსალოდნელია, რომ უვიზო რეჟიმი რუსეთთანაც იყოს. ლარის გაუფასურებას მისი გამყარება მოჰყვა. ხალხი ასეთი სასოწარკვეთილი არაა, როგორც ამ კვლევაში ჩანს. თქვენს გაზეთს კითხულობენ საელჩოები, უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციები. ამიტომ, მინდა მოვუწოდო აირაის თბილისის ოფისს, ნუ გამოიყენებს თავის კვლევებში ნაციონალური მოძრაობის მიერ შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ნუ შეუწყობს ხელს ამ პარტიას ვარდების რევოლუცია-2-ის მოწყობაში.

***– პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ვიზალიბერალიზაციას, სხვა გარემოებებთან ერთად, ხელს უშლის „ქართულ ოცნებაში“ ლენინელებისა და სტალინელების არსებობა.***

– ნეტავ, სად ნახა ლენინელები? ლენინისა და კოლმეურნეობების დრო წავიდა. საქართველოში ჯამში ლენინელი სულ რაღაც 0,01% თუ იქნება. სტალინელები, ასევე რუსეთისა და ევრაზიული კავშირის მომხრეები კი მოსახლეობაში არიან. თუ დასავლელი ლობისტები გააგრძელებენ ნაციონალური მოძრაობის გაძლიერებას და მის მოკავშირეობას, მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. ამაზე დასავლეთში უნდა დაფიქრდნენ. სტალინი სხვა ფენომენია. არასტალინელებიც კი აღიარებენ, რომ მეორე მსოფლიო ომი სტალინმა მოიგო, სააკაშვილმა კი ერთდღიანი ბრძოლა წააგო და ბრძოლის ველიდან კურდღელივით გამოიქცა.

***– აირაის კვლევითვე, ყველაზე რეიტინგული პოლიტიკური ფიგურა პაატა ბურჭულაძეა.***

– კაცი ამბობს, პოლიტიკაში არ მოვსულვარ, განვითარების ფონდი პარტია არ არისო, მას კი პოლიტიკოსების სიაში სვამენ! ეს ძალიან უცნაურია. ესაა საზოგადოებრივი აზრის მზადება, საზოგადოებაზე ზეწოლა.

***– რა მიზნით?***

– საზოგადოებას ამზადებენ იმისათვის, რომ საქართველოს მომავალი პრეზიდენტი პაატა ბურჭულაძე იქნება. მის მიმართ ხალხის უმრავლესობას ნორმალური დამოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ იმის გამოქვეყნებამ, რომ ბურჭულაძეს 75%-იანი პოლიტიკური რეიტინგი აქვს, საზოგადოებაში არა მარტო უკმაყოფილება, არამედ აგრესიაც გააჩინა. ადამიანები მიხვდნენ, რომ ამ პიროვნების შემოყვანა პოლიტიკაში ვიღაცების ხელით, ხელოვნურად ხდება.

# ბაჩუკი ქარდავა: „ოპოზიციაში მიმდინარეობს გადაძახილი, რომ საჭიროა ერთობლივი ქმედება“

ნათია ხურცილავა

**„ეროვნულ-დემოკრატიული" პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია გაერთიანდება, მას მეტი შესაძლებლობები ექნება, რომ მომავალ პარლამენტში უკეთესად იყოს წარმოდგენილი.**

**ბაჩუკი ქარდავა:**

– ჩემთვის ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული სოციოლოგიური კვლევები ეჭვგარეშეა და მის მიერ დადებულ შედეგებში ეჭვს ვერ შევიტან, ამ კვლევებმა გვიჩვენა ტენდენციები, ის რეალობა, რომელიც არის ჩვენს საზოგადოებაში პოლიტიკური სპექტრის მიმართ. თუმცა, ერთი მნიშვნელოვანი დეტალია, რომელიც არჩევნების დღეს უკავშირდება. არჩევნების დღეს ბევრი რამ იცვლება, თუ ასე არ მოხდებოდა, მაშინ „ენდიაისა“ და „აირაის“ კვლევების შედეგებით განვსაზღვრავდით პარლამენტის შემადგენლობას. მე მაინც ვფიქრობ, რომ ამომრჩეველი იმ დროს იღებს გადაწყვეტილებას, როდესაც საარჩევნო ყუთთან მარტო რჩება. დღეს ამომრჩეველში ისეთი განწყობაა, რომელიც არცთუ სახარბიელოა ხელისუფლებისთვის.

***– არც ოპოზიციისთვის, რადგანაც ელექტორატის 60%-ის გული ვერც ერთმა პარტიამ ვერ მოიგო და ვერ მიიმხრო.***

– დიახ, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ოპოზიციის ბრალი. აქ მთლიანად პოლიტიკური პროცესის, პოლიტიკის მიმართ არის ამომრჩევლის იმედგაცრუება და ნიჰილისტური განწყობები. მე როდესაც არჩევნების დღეზე ვსაუბრობდი, ასევე ვგულისხმობდი წინასაარჩევნო კამპანიას, რომელსაც ასევე აქვს მნიშვნელობა. წინასაარჩევნო კამპანიასაც შეუძლია რეალობა შეცვალოს.

***– არასაპარლამენტო ოპოზიცია შეეცდება ამ რეალობის შეცვლას? გარკვეული ერთობა უკვე ნახა საზოგადოებამ, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს საარჩევნო ბლოკის კონტურებია?***

– მე ამას უფრო სიგნალს დავარქმევდი. სიგნალს იმისა, რომ არასაპარლამენტო, ზოგადად ოპოზიციაში მიმდინარეობს ე.წ გადაძახილი, რომ საჭიროა ერთობლივი ქმედება. რამდენად მოხერხდება ყველა ოპოზიციური ძალის ერთად დადგომა, განსხვავებული იდეოლოგიების, შეხედულების მიუხედავად ვერ გეტყვით, რადგან ამაში ცოტა ეჭვი მეპარება, მაგრამ ყველას ინტერესი დღეს მობილიზებულია ერთ რამეზე: თუ რა საკონსტიტუციო ცვლილება განხორციელდება საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით.

***– კვალავ აქტუალურია ფრაზა: „ყველა ერთის წინააღმდეგ?***

– მე ეს ნამდვილად არ მხიბლავს. არ მხიბლავს ასეთი სურათი. ყოველთვის მირჩევნია საერთო იდეოლოგია, პოლიტიკური შეხედულებები საგარეო თუ საშინაო საკითხების მიმართ, იყოს განმსაზღვრელი პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის და არა „ყველა ერთის წინააღმდეგ“. თუმცა, რეალობა სულაც არ გამორიცხავს, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია კონსოლიდირებული ძალით გავიდეს არჩევნებზე, ყოველ შემთხვევაში, მე ამას ვისურვებდი. მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებებისა, ეს კონსოლიდაცია მას მისცემს შესაძლებლობას, რომ უკეთესად იყოს წარმოდგენილი მომავალ პარლამენტში. წინა არჩევნებზე ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ შუა უნდა გაიკრიფოს. არადა, ეს ძალები პარლამენტში აუცილებლად უნდა იყვნენ წარმოდგენილები. ვნახოთ, რას მოგვიტანს რეალური პოლიტიკური ცხოვრება.

***– რაზე იქნება დამოკიდებული ოპოზიციის გაერთიანება?***

– დიდ წილად ეს იქნება დამოკიდებული საარჩევნო კანონმდებლობაზე. დღეს ერთმანეთთან შეუგუებელი პოლიტიკური ძალები, ხელისუფლების სიჯიუტემ საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილების ირგვლივ, რამაც ასევე არჩევნების ლეგიტიმაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს, შეიძლება გააერთიანოს.

***– არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხს ხშირად არასაპარლამენტო ოპოზიცია ხაზს უსვამს, მაგრამ თქვენი მხრიდან რაზე იქნება ეს დამოკიდებული? რა შემთხვევაში იტყვით, რომ ლეგიტიმაცია კითხვის ნიშნის ქვეშაა?***

– ერთი, არსებობს ლეგიტიმაციის სამართლებრივი საკითხი. მეორე, ამას განსაზღვრავს პოლიტიკური სიტუაცია და საზოგადოებრივი განწყობა. სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით პრობლემა არ არსებობს, მაგრამ თუ საზოგადოების დიდ უმრავლესობას არჩევნების შედეგების მიმართ ნდობა არ ექნება, მაშინ ლეგიტიმაციას პრობლემები შეექმნება. ხელისუფლებისა და არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტის ვალდებულებაა, რომ საზოგადოებას არჩევნების მიმართ ნდობა გაუჩნდეს, მაგრამ მე, როგორც ასარჩევ სუბიექტს, თუ არ მექნება ნდობა, ბუნებრივია, ნდობა არ ექნება ჩემს მხარდამჭერს. მნიშვნელობა არ აქვს, ეს არის მცირე რაოდენობა თუ ამომრჩევლის დიდი რაოდენობა. საბოლოო ჯამში, თუ არჩევნებში მონაწილე ადამიანები უნდობლობით იქნებიან განწყობილები, მაშინ ლეგიტიმაციის პრობლემა დადგება. თუ საზოგადოების დიდი ნაწილი ქუჩაში გავიდა არჩევნების მეორე დღეს, მაშინ ეს მხოლოდ ამის დამადასტურებელი იქნება. მე ნამდვილად არ მაქვს ამის სურვილი, რომ ჩვენი ქვეყნის დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დადგეს ეს საკითხი.




***– როგორია თქვენი მოლოდინი ამ არჩევნებზე? თუ გაერთიანება მოხდა და საარჩევნო ბლოკი შეიკვრება, მაშინ რა შედეგებს აჩვენებს არასაპარლამენტო ოპოზიცია?***

– თუ გავითვალისწინებთ იმ პროცესებს, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობის ირგვლივ არის, ასევე საზოგადოების ინტერესს, პოლიტიკური პარტიების კონსოლიდირებულ პოზიციებს, მაშინ შეიძლება შედეგი დადგეს. ეს ყველაფერი მაინც პრაქტიკაზეა დამოკიდებული, ვნახოთ, თუ როგორ განვითარდება პოლიტიკური ცხოვრება არჩევნებამდე.

***– ბატონო ბაჩუკი, არ ფიქრობთ, რომ ამ საპარლამენტო არჩევნებს ისევ „ქართული ოცნება“ მოიგებს?***

– ამომრჩეველი კითხვას სვამს: „ქართულმა ოცნებამ“ როგორ უნდა მოიგოს ეს არჩევნები?! ამ კითხვას მე არ ვსვამ. დანარჩენს ამომრჩეველი არჩევნების დღეს გადაწყვეტს. მე ქუჩაში მხვდება ხალხი და მათი განწყობა არ არის, რომ გარდაუვალია ეს არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ მოიგოს. მათი განწყობები საპირისპიროზე მეტყველებს.

# გიორგი თავდგირიძე: „რუსეთის აგრესიული პოლიტიკა მთელ ევროპას უქმნის საფრთხეს“

გულიკო ბალაძე

ნატოს მაღალჩინოსნები რუსეთიდან მომავალ საფრთხეებზე საუბრობენ. ნატოს გენმდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი რუსეთს ძალითა და შეკავებით უნდა პასუხობდეს. თუმცა, ამ განცხადებაში საქართველო ნახსენები არ არის.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი გიორგი თავდგირიძე აცხადებს, რომ რუსეთი ყველაზე მეტად მიდრეკილია ავანტიურებისკენ. ის თამაშის წესებს არ ემორჩილება. ამიტომ ნატოსა და ამერიკის სამხედრო პოტენციალის აღმოსავლეთით გადმოსროლა ომის პრევენციაა.

– რუსეთი ოდნავ მაინც რომ უსწრებდეს ნატოს თავისი სამხედრო პოტენციალით, მსოფლიო აქამდე უფრო დიდი პრობლემის წინაშე იქნებოდა, ვიდრე დღეს არის. რუსეთი ყველაზე მეტად მზად არის, გადაეშვას ავანტიურებში, – განაცხადა გიორგი თავდგირიძემ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში.

***– ნატოს მაღალჩინოსნები რუსეთიდან მომავალ საფრთხეებზე საუბრობენ. თუმცა, ნატოს გენმდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებაში, სადაც საუბარია რუსეთის მიერ შექმნილ პრობლემებზე, საქართველოზე არაფერია ნათქვამი. თქვენ როგორ ახსნით ამას და როგორ აღიქვამთ ამგვარ განცხადებებს?***

– საქართველო ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. ნებისმიერ განცხადებაში ფიქსირდება, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და არაღიარების პოლიტიკა მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა არის ნატოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. სტოლტენბერგის განცხადება დელიკატურია, რადგან თავიდანვე იყო გაცხადებული, რომ ნატოს არ სურს, რუსეთთან ცივი ომის ფაზაში შევიდეს, მაგრამ ევროპა სერიოზულად აღიქვამს იმ პრობლემებს, რაც შეიძლება მოჰყვეს რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას უკრაინაში.

რუსეთის აგრესიული პოლიტიკა მხოლოდ უკრაინის წინააღმდეგ არ არის მიმართული, ის საფრთხეს უქმნის სტაბილურობას მთელს ევროპაში. საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპზე დგას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპის უსაფრთხოება. არის წითელი ხაზები, რომელთა გადაკვეთა იწვევს დესტაბილიზაციას. ნებისმიერ შემთხვევაში, როცა თამაშის წესები ირღვევა, იქ საუბარი არ არის იმაზე, ვის რამდენი ავტომატი აქვს, რამდენი ტანკი აქვს და რამხელა არმია ჰყავს.

როცა უსაფრთხოების ფუნდამენტური პრინციპები ირღვევა, საფრთხე ექმნება მსოფლიოს. გასულ საუკუნეში ორი მსოფლიო ომი იყო. არავის სურს, ხვალინდელი დღეც ისეთი იყოს.

***– როდესაც ნატოს მაღალჩინოსნები ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოებაზე საუბრობენ, ალბათ, რუსეთიდან მომავალი საფრთხეებიც გაამწვავებულია.***



– არა, ცალსახად ასე არ არის. ქართული მოსახლეობა და საქართველოს მოქალაქეებიც უნდა შეეჩვიონ იმას, რომ ნატოს გაფართოება არ არის ცენტრის მიერ ახალი ტერიტორიების დაკავება, ეს კოლექტიური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია. ნატოს გაფართოება არ არის მიზანი. მთავარი ამოსავალი წერტილია მსოფლიოს იმ სახელმწიფოების უსაფრთხოება, რომლებიც ნატოში შედის და რომლებიც არ შედის, მაგრამ ნატოს ქვეყნების მეზობლები არიან. ამიტომ, გარკვეულწილად, ეს არის გლობალური უსაფრთხოების პრინციპებზე აგებული სისტემა.

ამიტომ თუ ნატოს გაფართოებას რუსული, საბჭოთა კლიშეებით მივუდგებით, რომ იმპერიალისტური დაჯგუფება იზრდება და საფრთხეს უქმნის მსოფლიოს, ანუ არის აგრესიული ბლოკი, რომელიც საფრთხეს უქმნის ვიღაცას, არ იქნება სწორი.

***– რუსეთი ყოველთვის სწორედ იმას აცხადებს, რომ მას არ უნდა, თავის საზღვრებთან ნატოს ჯარი იდგეს.***

– რუსეთის ხელისუფლება არ არის თავისუფლების ფუნდამენტალური ინტერესების გამტარებელი ხელისუფლება. რუსეთში არ დამთავრდა პოსტსაჭოთა პერიოდი. დაუმთავრებლად მიმდინარეობს ქონების გადანაწილებები, სახელმწიფო ქონება, სახელმწიფო ხაზინა ერთ-ერთი ყველაზე სასურველია გარკვეული დაჯგუფებებისთვის. პოლიტიკურ-სამართლებრივ-ბიზნეს ურთიერთობებს არაჯანსაღი საფუძველი აქვს. საბჭოთა ინერცია გრძელდება და შიდა ჭიდილი აისახება რუსეთის საგარეო ურთიერთობებზე. არც ერთ ქვეყანასთან რუსეთს კეთილმეზობლური ურთიერთობა არ აქვს.

***– ე.ი. რუსეთი არ ემორჩილება თამაშის წესებს. რამდენიმე თვის წინ, ერთ-ერთმა ექსპერტმა მითხრა, რომ რუსეთი უფრო არის მომზადებული სამხედრო თვალსაზრისით ბრძოლისთვის, ვიდრე ნატო, რადგან რუსეთმა განაახლა თავისი სამხედრო პოტენციალი. ნატოს მხრიდან ბალტიისპირეთში სამხედრო პოტენციალის გაზრდა რუსეთისგან მომდინარე საშიშროებას რამდენად გაანეიტრალებს?***

– რუსეთი ოდნავ მაინც რომ უსწრებდეს ნატოს თავისი სამხედრო პოტენციალით, მსოფლიო აქამდე უფრო დიდი პრობლემის წინაშე იქნებოდა, ვიდრე დღეს არის. რუსეთი ყველაზე მეტად მზად არის, გადაეშვას ავანტიურებში. ამიტომ არის რუსეთი სახიფათო. მის ხელისუფლებას ნაკლებად აქვს სოციალური პასუხისმგებლობა თავისი მოსახლეობისა და, საერთოდ, მომავალი თაობის წინაშე.

რუსეთი მზად არის სამხედრო ავანტიურებისთვის. ეს არის მისგან გამომდინარე მთავარი საფრთხე. სამხედრო პოტენციალი არ არის ზარბაზნებისა და ტანკების რაოდენობა. მთავარია, რამდენად არის მზად ქვეყანა იომოს და რამდენად აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ნათელი მიზანი.

***– რუსეთი ომისთვის მზად არ არის? სირიაში ხომ იბრძვის? ის ერთდროულად სხვადასხვა ფრონტზეა.***

– კონფლიქტებს თავისი გრადაცია აქვს. რუსეთი სირიაში ახორციელებს ლოკალურ სამხედრო ოპერაციას, სადაც წარუმატებლობის შემთხვევაში დაკარგავს რამდენიმე ათას თავის მოქალაქეს. ეს არ იქნება მისთვის დიდი უბედურება. რუსეთის სამხედრო პოტენციალს, მაქსიმუმ თურქეთის სამხედრო პოტენციალს თუ შევადარებთ. ნატოს სამხედრო პოტენციალთან შედარებით, რუსეთის სამხედრო პოტენციალი ჩამორჩება. ფაქტობრივად, რუსეთი დღესაც იმ სამხედრო მანქანების ექსპლუატაციას აწარმოებს, რომლებიც ჯერ კიდევ სტალინის დროს ჩაიბარეს, რომელიც რაოდენობრივად გაიზარდა.

რუსეთის სამხედრო პოტენციალი ჯერ კიდევ დგას გასული საუკუნის 60-70-იან წლებში აშენებულ შენობებში. არანაირი განახლება რუსეთის სამხედრო პოტენციალს არ განუცდია. ცალკეული სამხედრო მანქანის მოდიფიკაცია განახორციელა. უკეთეს შემთხვევაში ეს არის მოდიფიკაცია. ახალი სიტყვა რუსეთს სამხედრო საქმეში არ უთქვამს.

***– თუმცა, რუსეთს ყოველთვის შეუძლია ჩვენ პრობლემები შეგვიქმნას.***

– ჩვენ შეიძლება შეგვიქმნას პრობლემა ერთმა ხულიგანმაც კი, რომელიც ითარეშებს საქართველოს ნებისმიერ ქალაქში, მაგრამ შეუძლია თუ არა რუსეთს საქართველოს ოკუპაცია მოახდინოს დაუსჯელად? – არა. თუ ერი იბრძოლებს, საქართველოს გააჩნია იმის პოტენციალი, რუსეთის ნებისმიერმასშტაბიანი შემოტევა მოიგერიოს. ამას სჭირდება პოლიტიკური ნება და ერის თანადგომა.

***– ერთი შემოტევა შეიძლება მოვიგერიოთ. ომის მოგება შეგვიძლია?***

– ეს ხომ არ არის სპორტული თამაში, როცა არ იცი, რა ანგარიშით დასრულდება. საქართველოს აქვს პოტენციალი და ბევრი მაჩვენებელი იმისა, რომ საქართველოს შეუძლია, თავისი თავდაცვის სისტემა ისე ააგოს, გარკვეული დროის განმავლობაში გაუმკლავდეს რუსეთის აგრესიას და არ მისცეს საშუალება, მოახდინოს საქართველოს ოკუპაცია.

***– ცოტა ხნის წინ, ნატოს ჯარების უმაღლესმა მთავარსარდალმა ბრიდლავმა განაცხადა, რომ რუსეთის საზღვრებთან ნატოს სამხედრო-სასაზღვრო დაზვერვის გაძლიერებაა საჭირო. საქართველოც ესაზღვრება რუსეთს. ნატოს ამ გეგმაში საქართველოც შედის?***

– საქართველო აძლიერებს თავის პოტენციალს. ამ პოტენციალის გაძლიერებაა ის, რომ მაისში გაიმართება საკმაოდ მასშტაბური ერთობლივი სწავლება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ამერიკის საბრძოლო ტექნიკა.

***– დაზვერვის გაძლიერება ამ სწავლებაში შედის?***

– სწავლება კომპლექსურია და არა მხოლოდ დაზვერვის გაძლიერება. დღეს მხოლოდ დაზვერვაზე არავინ საუბრობს. ინფორმაციის ფლობაზე ვსაუბრობთ, რომელიც არა მხოლოდ დაზვერვის მონაცემებისაგან შედგება. ძალების გადმოსროლა არ ნიშნავს იმას, რომ ვინმეს რუსეთთან ომის ეშინია. ცენტრალური ევროპის რიგი სახელმწიფოებისა და ამერიკის მხრიდან თავისი სამხედრო პოტენციალის განლაგება აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის, ბალტიისპირეთში, არის ომის პრევენცია, რადგან მთავარი საფრთხე რუსეთიდან რომელიმე სამხედრო ავანტიურაში მისი შესაძლო ჩართვაა.

***– თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ ნატოში მაპის გარეშე შეიძლება გავწევრიანდეთ. მაპის გარეშე შეიძლება ნატოში მიგვიღონ?***

– კი, იურიდიულად შესაძლებელია. პრაქტიკულად, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა საჭირო. როგორც კი საქართველოს მიღება ნატოს ინტერესებში იქნება, აღნიშნული პოლიტიკური პროცესი დაიწყება. როგორც კი ნატოში მიღების პროცესი დაიწყება, საქართველოს უსაფრთხოება ისეთივე იქნება, როგორც გაერთიანებული ევროპის წევრი ქვეყნებისაა.

მაპის ატრიბუტები ისედაც ხორციელდება. სწავლება, ავღანეთში ერთობლივ მისიაში მონაწილეობა, მჭიდრო ურთიერთობის დემონსტრირება ნიშნავს იმას, რომ გარკვეულწილად, არაფორმალურად, მაპის მოთხოვნებს ვასრულებთ. ნატოში მიღება ხდება უსაფრთოების კრიზისებიდან გამომდინარე და იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ამ ქვეყანას აქვს.

# „საქართველო შესაძლოა რუკაზე აღარ დარჩეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ მოსკოვი რაღაცას აპირებს. ცოტა ხნის წინ უკრაინასა და სირიაში სამშვიდობო შეთანხმებები დაირღვა. კრემლმა საერთაშორისო თანამეგობრობას ყარაბაღშიც შეახსენა თავი და ამ კონფლიქტის გააქტიურებით დასავლეთს მესიჯი გაუგზავნა.

***– რა მესიჯზეა საუბარი?***

– მესიჯი ძალიან მკაფიო და კონკრეტული გახლავთ. არის ერების ძალით დამორჩილება ანუ დაპყრობა. მეორე მეთოდი ცივი ომის დრონდელი გახლავთ და მას იძულებით დაყოლიება ჰქვია. რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა აფხაზეთის და ცხინვალის თემით ცდილობს იძულებით დაიყოლიოს საქართველო. კრემლი უკრაინის თემით ცდილობს იძულებით დაიყოლიოს ევროპა. სირიის პრობლემის გართულებით კი აშშ-ს დაყოლიებას ცდილობს.

***– გამოსდის ამით რამე? ან რატოომ არ ჩამოიშალა რუსეთი? სანქციების დაწესების და ნავთობის ფასების ვარდნის შემდეგ ყველა ექსპერტი რუსეთს ბანკროტს უწინასწარმეტყველებდა. ამათ კი საბანკროტე პირი არ უჩანთ.***

– ნამდვილად ვერ გეტყვით რა ბიუჯეტი აქვს რუსეთს. არავინ არ იცის რა აღურიცხავ თანხებს განაგებს კრემლი. ფაქტი ერთია რომ 2020 წლამდე რუსეთის ეკონომიკას გაჯანსაღება არ ელოდება, მაგრამ ამაზე დიდად არ დარდობენ. ქეში ფული ბლომად აქვთ.

***– ქეში ფული შეიძლება ბლომად ქონდეთ, მაგრამ სადამდე ეყოფათ? ოდესაღაც ხომ ამოიწურება. ულირთ კი ეს ამხელა ავანტიურები ქვეყნის ჩამოქცევად?***

– სადამდე ეყოფათ ეს ფული არ ვიცი. რაც შეეხება კითხვას ულირთ თუ არა, პირდაპირ და მარტივად შემიძლია ამაზე პასუხი. არის აეთი ქართული გამოთქმა – ბავშვს კითხეს რა გატირებსო, გამდის და ვტირივარო.

***– იმის თქმა გინდათ რომ რუსეთი ასე მხოლოდ იმიტომ იქცევა რომ გასდის?***

– ჯერჯერობით გასდის. ბოლო ხანებში დასავლეთის სამხედრო ელიტის განცხადებები ცოტა გამკაცრდა.

***– ცოტა გამკაცრებაში რას გულისხმობთ?***

– ლეტალური იარღის შესაძლოა გამოყენებაზე გაკეთდა განცხადებები. ყირიმის დაპყრობის შემდეგ რუსეთმა სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში სპეციალურად დაიწყო დამღლელი ომი და გრძელვადიანი არეულობები. კრემლს სურს მთელი ყურადღება აქეთ გადაიტტანოს, რათა ყირიმი შერჩეს.

***– შერჩათ ყირიმი?***

– ამ ეტაპზე შერჩათ. როგორ დასრულდება ეს ყველაფერი არავინ იის. რუსეთისგან კიდევ რაღაცას უნდა ველოდოთ. ამიტომაც აძლიერებს ნატო საზVრარს რუსეთსა და ევროპას შორის.

***– 5.000-მდე კარგად გაწვრთნილმა ნატოელმა ჯარისკაცია რუსეთის საზღვრებთანო. რუსეთმა თუ ევროპაში შეჭრა მოინდომა, საკმარისი იქნება ეს ხალხი რუსული მანქანის გასაჩერებლად. 1999 წელს პრიშტინის აეროპორტში რუსმა სამხედროებმა გენერალ ევკუროვის მეთაურობით ნატოს სერიოზული პრობლემები შეუქმნეს.***

– ღმერთმა ნუ ქნას ჩვენი პროგნოზები გამართლდეს. ჩვენ ვვარაუდობთ რომ რუსეთსა და დანარჩენ სამყაროს შორის 2017-2018 წლებში დაპირისპირება პიკს მიაღწევს. რომელიც შესაძლოა წერტილოვანი დარტყმებით დამთავრდეს. ამ დაპირისპირებაში ქვეითი ჯარი მხოლოდ სიმბოლურად იქნება წარმოდგენილი. პოლიტიკაშიც და სამხედრო მეცნიერებაშიც ასეა – თუ ქვეითი ჯარი არ შევიდა ის ტერიტორია დაპყრობილად არ ითვლება.

რუსეთი პოლონეთის ან ბალტიისპირეთის მიმართ თუ რაღაც ზომებს მიითებს, ამით ნატოს სამხედრო ძალებს დაუპირისპირდებიან. ასეთ შემთხვევაში ამოქმედდება ნატოს წესდების მეხუთე მუხლი და ისინი აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთვებიან.

***– ნატოსთან ომი შედის რუსეთის ინტერესებში?***

– გულწრფელად გეტყვით, რომ უკვე ვეღარ ვხვდები რა შედის რუსეთის ინტერესებში. რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ისეთ უცნაურ გადაწყვეტილებებს ღებულობს, ძალიანაც რომ მოინდომო დახმარების შანსს არ გიტოვებს.

თურქეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში შევიდნენ და ამ დროს საქართველოში კონფლიქტი აქვთ. ეს არის ძალიან დიდი სისულეელ. კიდევ უფრო დიდი სისულელეა, რომ ამ კონფლიქტის მოგავრებას არ აპირებს. ამ პრინციპით ისინი კავკასიაში მოყვარეს ვერ გაიჩენს. რამაც კრემლის შესაძლოა ძალიან გაურთულოს ურთიერთობა. თუ ყველა მიმართულებით აპირებს იომოს, ხელი არ უნდა შევუშალოთ. იმასაც ვნახავთ რამდენ ხანს ეყოფა ენერგია. საქართველოს რუსეთზე დიდი იმპერიები დამხობია თავზე. ყველაფრის მიუხედავად ქვეყანა ვართ, კულტურა და დამწერლობა გვაქვს, ყველაფერთან ერთად კაცობრიობის განვითარებაში ჩვენი წვლილი შევიტანეთ.

***– ეგ ადრე იყო, ახლა საზღვარიც კი არ გვაქვს?***

– ისტორია დიდებული გვაქვს, მაგრამ უსაზღვროდ ვართ დარჩენილი. ასე თუ გაგრძელდა ამ პრობლემის მოგვარება საქართველო შესაძლოა რუკიდან როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო გაქრეს. არადა კიდევ ერთხელ ვამბობ რომ ამ პრობლემის მოგვარება რთული არ არის.

***– თუ რთული არ არის რით ვერ მოახდინეს საზღვრების დემარკაცია?***

– ამის ნება არ არის. ჩვენ გვყავს ძალიან კარგი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები. საბედნიეროდ ისეთი კოსმოსური ტექნოლოგიები არსებობს რომ საზღვრის პერიმეტრთან საზომებით სიარული არავის დასჭორდება. ზემოდან უპრობლემოდ შეუძლიათ წერტილების დასმა.

***– ამბობთ რომ საზღვრების დემარკაცია ძალიან მარტივად შეიძლება. უკვე წაღებული ტერიტორიების დაბრუნების შანსები როგორია?***

– მონდომების შე,თხვევაში ყველაფრის დაბრუნება შეიძლება. ჩვენ კი ამის გასაკეთებლად არაფერს ვაკეთებთ. და სანამ პოლიტიკოსები ერთმანეთს აგინებენ, მეზობელი ქვეყნების ჩვენს ტერრიტორიებს ეპატრონებიან. ეს პროცესი თუ გაგრძელდა, მალე რუკიდან საერთოდ გაქრება სახელმწიფო, რომელსაც საქართველო ერქვა. ამის გაო ჩვენი მომავალი თაობა საფლავებშიც აღარ გაგვაჩერებს.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**



ინტერვიუ გალთ ენდ ტაგარტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არჩილ გაჩეჩილაძესთან

# არჩილ გაჩეჩილაძე: „ყველა მონაცემი აჩვენებს, რომ ლარის გამყარების ტენდენციაა“

***– იზიარებთ თუ არა საქართველოს ბანკის პროგნოზს წლის ბოლოს საქართველოს ეკონომიკის 5%-ით გაზრდასთან დაკავშირებით?***

– ჯერჯერობით ეს არის ყველაზე მაღალი პროცენტი, რაც მოვისმინეთ. პროგნოზებს საქართველოს ბანკი არ აკეთებს, უფრო ამას მისი შვილობილი ორგანიზაცია გალთ ენდ ტაგარტი აკეთებს და ჩვენ ვთქვით, რომ 4%-ს გადააჭარბებს და შესაძლოა 5%-მდეც იყოს ზრდა.

ამის პირველი საფუძველი ის არის, რომ ნავთობის ფასები შედარებით დასტაბილურდა და აქედან გამომდინარე ის საგარეო შოკი, რომელიც შარშან მთლიან რეგიონს ჰქონდა, ნოემბრისთვის გაჩერდა, პატარა შოკი გვქონდა დეკემბერ-იანვარში და შემდეგ ისევ შემოტრიალდა ეკონომიკა, როგორც საგარეო, ასევე საქართველოსი. რუსეთი და აზერბაიჯანი ნელ ზრდას ან კლებას აგრძელებს, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ საქართველოს ძალიან კარგი შანსი აქვს, რათა დაუბრუნდეს ზრდას.

***– რამდენად გარანტირებულია ეს მაჩვენებლები და რა არის ძირითადი გამოწვევები, რამაც შესაძლოა თქვენი პროგნოზი შეცვალოს?***

– კარგი, რაც ხდება, არის ის, რომ ტურიზმი საკმაოდ კარგად იზრდება. იმ პრობლემებიდან გამომდინარე, რაც თურქეთსა და რუსეთს შორის მოხდა, 3,5 მილიონი ტურისტი თურქეთში მიდიოდა, 1 მილიონი ტურისტი ეგვიპტეში და აქედან დაახლოებით ნახევარი მილიონი აქეთ რომ ჩამოვიდეს, საკმარისი იქნება, მხოლოდ ტურისტის ხარჯზე ეკონომიკა 2,5%-3%-ის ფარგლებში გაიზარდოს. ამის გარდა, სხვა რაღაცებიც გაიზრდება, შესაბამისად ველოდებით, რომ შემოდინება იქნება როგორც სავალუტო და ლარის გამყარებისკენ იქნება ტენდენციები.

***– როგორ აფასებთ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას მონეტარული პოლიტიკის შემცირებასთან დაკავშირებით?***

– კარგად ვაფასებ ამ გადაწყვეტილებას და ეს მხოლოდ დასაწყისი უნდა იყოს. ამის აქსელერაციაა გასაკეთებელი, იმიტომ, რომ ფაქტია, ინფლაცია მოდიოდა ქვევით, ფულის მასა არის შემცირებული და ვინაიდან ინფლაცია აპრილის ბოლოსკენ 3%-მდე ჩამოვიდა, არის იმის საშუალება, რომ მეტი დოლარის ყიდვა მოხდეს, ლარის კურსის გამყარებისკენ აღარ გაუშვან მეტი და ამით მოხდება ეკონომიკის სტიმულირება.

***– ეროვნული ბანკის ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ანალიტიკოსების აზრი სხვადასხვაგვარია. პირველი რაც ისმის, არის ის, რომ კრიზისიდან ახლა გამოვდივართ და საკმაოდ მცირე დრო არის გასული იმის სათქმელად, რომ მაჩვენებლები რეალურად არის გამოსწორებული. მისაღებია თუ არა ეს არგუმენტი თქვენთვის?***

– არანაირად არ არის წონიანი არგუმენტი. არ ვიცი, რომელმა ექსპერტმა რა თქვა, მაგრამ ელემენტარული ეკონომიკის ანა-ბანაა, რომ როდესაც ინფლაცია ჩამოსულია ქვევით, ლარში სტიმულირება არის შესაძლებელი. ყველა მაჩვენებელი აჩვენებს იმას, რომ შარშანდელთან შედარებით ნაკლები დოლარი გადის ქვეყნიდან, ვიდრე შემოდის, ანუ მეტი დოლარი რჩება ეკონომიკაში და ტენდენცია გამყარებისკენ არის.

ამასთან ერთად, სხვა ვალუტების გამყარებას რომ შევადაროთ, ზედმეტად გამყარება არ ვარგა. აქედან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს აქვს შანსი, რომ წელს 200-300 მილიონი დოლარით შეავსოს რეზერვები დამატებითი ეკონომიკური სტიმულირების ხარჯზე, რაც ტურიზმიდან მოდის და ამას გარდა დედოლარიზაცია წამოვა, იმიტომ, რომ მაღალ ნიშნულზეა ახლა. ჯამში შესაძლოა ძალიან საინტერესო წელი მივიღოთ.

***– ეროვნულმა ბანკმა დოლარში სარეზერვო მოთხოვნა გაზარდა. რამდენად ეთანხმებით ამ გადაწყვეტილებას?***

– არ მივესალმები ამ გადაწყვეტილებას. მგონია, რომ ეკონომიკისთვის დოლარის შეჩერება და რეზერვის ზრდა ბევრად უფრო მოქმედებს და არა მგონია, რომ ეს კარგი იდეა იყოს. ისეთ პატარა ქვეყანაში დედოლარიზაციის მცდელობების გადაჭარბება არ არის საჭირო.

შარშან გვქონდა დევალვაციის ტენდენცია, ხალხი მასობრივად გადავიდა თანხის დოლარში შენახვაზე. ახლა საპირისპირო ტენდენცია დაიწყო და დედოლარიზაცია 72%-დან 65%-მდე რომ ჩამოვიდეს, დამატებითი დოლარის შემოდინების საფუძველი იქნება.

მთავარი არის ძლიერი ეკონომიკა, რომლის მომავლის იმედიც გვექნება და ასეთ დროს ლარში შევინახავთ თანხებს. მთავრობამ თუ შეძლო, რომ არ გაზარდოს მიმდინარე ხარჯები და კაპიტალური ხარჯები უფრო წაახალისოს, კარგი იქნება.

**ბიზნესკონტაქტი**

# რუსული პრესა: „2016 წელს აფხაზეთის ეკონომიკას რთული ვითარება ელოდება“

რუსულ გამოცემა „Ноев ковчег“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულია თურქულ-აფხაზური ურთიერთობების წარსული, აწმყო და პერსპექტივა: „რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში აფხაზეთში არსებული სიტუაცია ბევრად განისაზღვრებოდა მისი მდებარეობით რუსეთს (რუსეთის იმპერია, სსრ კავშირი) და თურქეთს (ოსმალეთის იმპერია) შორის. აფხაზეთი იყო როგორც განხეთქილების ვაშლი, ასევე ბუფერი და ხიდი ორი ერთმანეთის მტრულ იმპერიებთან მიმართ“, – ნათქვამია პუბლიკაციაში (ავტორი – ალექსანდრ სკაკოვი).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

– საბჭოთა კავშირის დაშლისა და სამხრეთ კავკასიაში განვითარებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ფონზე, განსაკუთრებით კი 1993 წლიდან, თურქულ-აფხაზურ კავშირებს არაოფიციალური ხასიათი ჰქონდა. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ მე-19 საუკუნის კავკასიური ომების შემდეგ თურქეთში (ოსმალეთში) საკმაოდ ბევრი აფხაზი იძულებით თუ საკუთარი ნებით გადასახლდა (მუჰაჯირთა რაოდენობა 150-დან 800 ათასამდე მერყეობს). მიგრაციის ტალღაში დიდი როლი შეასრულა როგორც რუსეთის არმიის სამხედრო ოპერაციებმა, ასევე ოსმალეთის იმპერიის დაპირებებმა კავკასიელების მიმართ.

გადასახლებულთა ნაწილმა ასიმილირება განიცადა, ნაწილი კი თავის თავს კვლავ აფხაზურ ეთნოსთან აიგივებს და ისტორიულ სამშობლოსთან კავშირს არ კარგავს. ისინი აფხაზეთის დამოუკიდებლობის პირველ წლებში ცდილობდნენ თავიანთ ნახევრად აღიარებულ რესპუბლიკისათვის „საგარეო სარკმელი“ გაეღოთ, ეს იყო ანკარის ერთგვარი „ჩრდილოვანი პოლიტიკა“. თუმცა, კაცმა რომ თქვას, თურქეთის სახელმწიფოსათვის აფხაზეთთან ურთიერთობას რაიმე მნიშვნელოვანი როლი არ ჰქონია, მით უმეტეს, თურქეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებდა. ამასთან, ვერც იმას ვერ ვიტყვით, რომ ანკარისათვის სოხუმთან ურთიერთობა მხოლოდ ფორმალური ხასიათით გამოიხატებოდა. მთავარი მიმართულება იყო კულტურული და ეკონომიკური კონტაქტები: თურქეთში თავის დროზე ბევრი აფხაზი პოლიტიკოსი იყო ჩასული (პრეზიდენტ ვლადისლავ არძინბათი დაწყებული) და კონტაქტები არასოდეს გაწყვეტილა: 1990-იან წლებშიც კი, მართალია, შავ ზღვაზე თურქეთსა და აფხაზეთს შორის სამგზავრო მიმოსვლა არ იყო, მაგრამ „ჩრდილოვანი“ ვაჭრობა ვითარდებოდა. თურქეთი თანდათან იქცა აფხაზეთის მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად...

რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებამ და ეკონომიკური სანქციების დაწყებამ აფხაზეთი გამოცდის წინაშე დააყენა. ამასთან დაკავშირებით ერთნი ამბობენ, რომ რადგანაც თურქეთის საგარეო პოლიტიკაში აფხაზური ვექტორი არ არსებობს, ორი ქვეყნის



ურთიერთობაზე საუბარს აზრი არ აქვს; მეორენის თქმით, თუ აფხაზეთ-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობების შეზღუდვა დიდხანს გაგრძელდება, ეს აფხაზების გაღატაკებას გამოიწვევს და „რესპუბლიკაში“ ცხოვრების დონეს დაბლა დასწევსო. თავის მხრივ, ამჟამად, ვერც თურქეთი ვერ გააქტიურდება, რადგან მისი მთავარი ყურადღება ახლა ანკარა-თბილისი-ბაქოს ღერძის შექმნისკენაა მიმართული, რომელიც, ბუნებრივია, მოსკოვ-ანკარის დაპირისპირების გამო, სოხუმთან და ცხინვალთან მიმართებით, მტრული უნდა იყოს (აფხაზები და ოსები ხომ პრორუსები არიან). თუმცა ანკარისათვის ძნელი იქნება თბილისის წაქეზება იმისათვის, რომ ქართველებმა კვლავ ომი დაიწყონ პრორუსების წინააღმდეგ, – აღნიშნულია სტატიაში.

პუბლიკაციაში ყურადღება ეთმობა აფხაზეთის დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობას, ანტითურქული სანქციების გამოცხადების ფონზე. ფაქტიურად აღარ არის თურქული საქონელი, პროდუქტები, შეჩერებულია თურქული კომპანიების მოქმედება, მაგრამ შედარებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს სავიზო რეჟიმის გამკაცრებას: თურქები აფხაზეთში რუსეთიდან შედიოდნენ და ახლა როცა რუსეთმა უვიზო რეჟიმი გააუქმა, თურქეთის იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც თავს აფხაზებად მიიჩნევენ, ისტორიულ სამშობლოში შესვლა შეიზღუდა. ბევრ მათგანს ხომ ბიზნესის დაწყება ჰქონდა განზრახული. ანუ ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთის მიერ გამოცხადებული ანტითურქული სანქციებით თურქეთის ეკონომიკას არაფერი არ მოუვა, აფხაზეთისა კი დაზარალდება.

– რასაკვირველია, არსებობს საპირწონე – რუსეთის დახმარება აფხაზეთისადმი. ამასთან, უნდა ითქვას, რომ თავის დროზე აფხაზური საზოგადოება დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთთან დადებულ პარტნიორობისა და სტრატეგიული მოკავშირეობის ხელშეკრულებაზე, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ეს იყო ზედმეტი ნდობა და ზედმეტი იმედი. გარდა ამისა, დოკუმენტის რეალიზებას ხელს უშლის გლობალური ეკონომიკური კრიზისი, დაძაბული საერთაშორისო სიტუაცია. შესაბამისად, რუსეთის შესაძლებლობები უსაზღვრო არ არის, – აღნიშნულია სტატიაში.

ამ პირობებში აფხაზეთის ხელისუფლება, საბიუჯეტო შემოსავლების მატების მიზნით, ცდილობს არასტანდარტული ეკონომიკური გადაწყვეტილებები მიიღოს, „და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს: კორუფციასთან ბრძოლის შედეგად, მკაცრი საგადასახადო პოლიტიკისა და დამატებითი გადასახადების შემოღების წყალობით, 2015 წლის შემოსავლები 2014 წლისაზე მეტი აღმოჩნდა“. სამომავლოდ, ხელისუფლებას განზრახული აქვს გადასახადი დააწესოს მანდარინის გატანაზე, თხილის ექსპორტზე (გალის რაიონიდან), თუმცა სოხუმმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ გადასახადები მოსახლეობის უკმაყოფილებას გამოიწვევს. როგორც ოპოზიცია აცხადებს, „გლეხის ჯიბეში ხელების ფათური ქარხანა-ფაბრიკის აშენება არ არის“.

საბოლოო ჯამში, აფხაზეთის ხელისუფლების ძალისხმევითა და აფხაზური საზოგადოების „სიმტკიცის რეზერვის“ წყალობით, რესპუბლიკაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის უკიდურესი გაუარესება არ მომხდარა, თუმცა, ბუნებრივია, გაუმჯობესებაც არ შეიმჩნევა. ამ ფაქტორმა კი არ შეიძლება ოპოზიციური განწყობების ზრდა არ გამოიწვიოს, განსაკუთრებით რუსული ფინანსური ინექციების დაყოვნება-შემცირების პირობებში“.

– 2016 წელს აფხაზეთის ეკონომიკას წინ რთული სიტუაცია ელოდება. „რესპუბლიკა“ ისეთ მდგომარეობაში იქნება, როცა ის იძულებულია კი არ განვითარდეს, არამედ გადარჩეს, – ხაზგასმულია სტატიაში.

**ნიუსპრესი**

*საზოგადოება*

# გიორგი პაპუაშვილი: „ხელისუფლება ცდილობს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები შეამციროს“



საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის ინფორმაციით, ხელისუფლება „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში შესატან ცვლილებებს, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო, არ ასაჯაროებს. ამის შესახებ პაპუაშვილმა ჟურნალისტებს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის მომხსენებლებთან გამართული შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

პაპუაშვილის თქმით, მონიტორინგის კომიტეტის მომხსენებლებთან შეხვედრაზე საუბრის თემა ის მოვლენები იყო, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ ბოლო ერთი წელია ვიათარდება და სასამართლოს წინააღმდეგაა მიმართული.

მისივე თქმით, საუბარი შეეხო ასევე საკანონმდებლო ცვლილებებსაც, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა, თუმცა პარლამენტში დეპუტატ ეკა ბესელიას მიერაა ინიცირებული.

– საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციების შემცირებაა. პროცედურული საკითხების ისე გადაკეთება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ეფექტური არ ყოფილიყო. პარლამენტმა აღნიშნული ცვლილებები პირველი მოსმენით მიიღო და სამწუხაროდ, პირველი მოსმენის შემდგომი ტექსტი არც ჩემთვისაა ხელმისაწვდომი.

იმედია, ჩვენს უცხოელ მეგობრებს მაინც მისცემენ ტექსტს, რომ ასე დამალულად არ მიმდინარეობდეს მუშაობა, – განაცხადა პაპუაშვილმა.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განმარტებით, პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის პირველი მოსმენის დროსაც იყო ისეთი ფაქტები, რაც არასამთავრობო სექტორის მხრიდან უარყოფითად შეფასდა.

**გიორგი პაპუაშვილი:**

– მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა არ იყო დამოკიდებული სასამართლოზე.

დღეს არსებული რეგულაციებით, როდესაც ჩვენ ვაცხადებთ გადაწყვეტილებას, ის მაშინვე შედის ძალაში. ახალი რეგულაციით კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ორგანოში უნდა გამოქვეყნდეს და შემდეგ შევა ძალაში. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება შეიძლება დაგვიანებით ან საერთოდაც არ გამოქვეყნდეს.

საკანონმდებლო მაცნემ შეიძლება თქვას, რომ ფორმალურად არ შეესაბამება გადაწყვეტილება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

მისივე თქმით, საკანონმდებლო ინიციატივაში კიდევ არის უამრავი სხვა პროცედურული საკითხი, რომლებიც ხელს შეუშლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში მალე შესვლას.

– ვფიქრობ, ეს მოკლევადიან პოლიტიკურ მიზნებს ისახავს და რატომღაც შიში არის საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო საშიში არის ხელისუფლებისთვის, მაგრამ ეს ცუდია ქვეყნის პრესტიჟისთვის, რადგან ამის გამო აკრიტიკებენ პოლონეთის კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს, ასევე სხვა ქვეყნებს და ჩვენც იმ ქვეყნების რიგებში მოვხვდით, სადაც ცნობილია, რომ ხელისუფლება ცდილობს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები შეამციროს, – განაცხადა პაპუაშვილმა.

# ირაკლი შოთაძე ზურაბ ჟვანიას საქმეზე: „მარტივი არ არის ასეთი ძველი დანაშაულის გამოძიება“

– მარტივი არ არის ასეთი ძველი დანაშაულის გამოძიება, მით უმეტეს, როცა ათწლეულის განმავლობაში ამ სისხლის სამართლის საქმეზე რეალურად გამოძიება არ ჩატარებულა, – ამის შესახებ საქართველოს მთავარმა პროკურორმა, ირაკლი შოთაძემ ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას საქმეზე კომენტირებისას განაცხადა.

ირაკლი შოთაძის განმარტებით, გამოძიებას უწევს იმ გარემოებების აღდგენა, რაშიც მოხდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის გარდაცვალება. მთავარი პროკურორი განმარტავს, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებზე ვერ ისაუბრებს.

**ირაკლი შოთაძე:**

– ჩვენ გვიწევს ყველაფრის თავიდან ჩატარება. იმ გარემოებების აღდგენა, რა გარემოებებშიც მოხდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის გარდაცვალება. შესაბამისად, ეს არის საკმაოდ რთული და სპეციფიკური გამოძიება და ამიტომ, ამით



არის გამოწვეული ის დროის ხანგრძლივობა, რასაც საჭიროებს გამოძიება.

ყოველდღიურ, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა უფრო დეტალებზე ვერ ვისაუბრებ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე.

**ინტერპრესნიუსი**

# „ქავთასი“ — ნაყენი, რომელიც სასწაულებს ახდენს!

ლელა გეჯაძის ნაყენი „ქავთასი“, რომელიც მეტეხის ტაძრის წინამძღვარმა, მამა აკაკიმ აკურთხა, ადამიანებს სერიოზული დაავადებებისგან კურნავს. რატომ უწოდეს ამ ნაყენს სასწაულმოქმედი და რას წერენ მადლიერი პაციენტები აღნიშნული ნაყენით მკურნალობის შესახებ?!

სანამ მადლიერი პაციენტების წერილებს შემოგთავაზებდეთ, „ქავთასის“ უნიკალურ სამკურნალო თვისებებზე თავად ნაყენის ავტორი ისაუბრებს:

**ლელა გეჯაძე:**

**— უკვე მრავალი წელია, რაც ჩემი საავტორო ნაყენით ადამიანებს ვმკურნალობ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ ხნის მანძილზე არც ერთი უკმაყოფილო პაციენტი არ მყავს!**

**ნაყენი „ქავთასი“ ეფექტურია მრავალი დაავადების სამკურნალოდ: კურნავს პროსტატას, მკერდში აქრობს სიმსივნურ და კისტოზურ წარმონაქმნებს, მაქსიმალურად აწესრიგებს ნაღვლის ბუშტის ყველა პრობლემას, სრულად აქრობს ნალექს, ჩირქსა და კენჭებს, ხსნის ალერგიებს, ასუფთავებს ფრონტიტისა და ჰაიმორიტის ღრუს, აწესრიგებს ენდოკრინულ ბალანსს, ეფექტურია წინამდებარე ჯირკვლის ადენომების, ფიბრომიომების, კისტების, მასტოპათიების სამკურნალოდ, კურნავს ბუასილს, შველის გაცხიმოვნებულ ღვიძლს, ციროზს (ღვიძლის ნებისმიერი ფორმაცვალების დროს), ეწინაალმდეგება ლეიკემიის განვითარებას, იცავს ორგანიზმს ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეების წარმოქმნისას, კურნავს იმპოტენციას, ამაღლებს სექსუალურ აქტივობას, ეფექტურია ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის სამკურნალოდ, ასევე მეტად სასიკეთოა A, B და C ჰეპატიტების დროს და ა.შ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ნაყენი „ქავთასით“ რამდენიმე ონკოლოგიური პაციენტიც კი განიკურნა — ბიჭიკო სოლოღაშვილი, რომელსაც საყლაპავი მილის სიმსივნის მე-3 სტადია ჰქონდა, ქეთევან თულაშვილი, რომელსაც თავში სიმსივნური წანაზარდი აღმოაჩნდა და მედიკო ბიწაძე, რომელსაც ექიმებმა მკერდის ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. სამივე პაციენტი „ქავთასის“ მიღების შემდეგ სრულად განიკურნა!**

**ვფიქრობ, ჩემს ნაყენს ძალა მეტეხის ტაძრის წინამძღვრის, მამა აკაკი მელიქიძის ლოცვა-კურთხევამაც შემატა. ამის მიზეზი კი შიო მღვიმის მონასტერში მოღვაწე შავი ბერი მატათას განკურნება გახდა, რომელსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკმაოდ სერიოზული პრობლემა ჰქონდა და „ქავთასის“ მეშვეობით სრულად გამოჯანმრთელდა. სწორედ მან მოუყვა მამა აკაკის ჩემი ნაყენის შესახებ, რის შემდეგაც მამა აკაკიმ ნაყენის კურთხევა თავად მოისურვა.**

**პაციენტთა შორის უამრავი სასულიერო პირი მყავს — მამა ლუკა კოჩენკო (რომელმაც საკმაოდ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა ჩემს შესახებ და თავის მრევლს ნაყენი „ქავთასის“ მიღებისკენ მოუწოდა), მამა დავითი, დმანისის ეპარქიის წმინდა ბასილი დიდის ტაძარში მოღვაწე დედა გაიანე ფილიშვილი, შავნაბადას მონასტრის ბერები, მეუფეები და მაღალი იერარქიის სხვა პირები. სასულიერო პირები, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ჩემი ნაყენის ძალა, ჩემს ნაყენს სასწაულმოქმედს უწოდებენ!**

**რაც მთავარია, „ქავთასს“ არ გააჩნია არანაირი უკუჩვენება და მისი მიღება როგორც სამკურნალოდ, ისე პროფილაქტიკის მიზნითაც შეგიძლიათ!**

ლელა გეჯაძის ნაყენით განკურნებული ადამიანები მზად არიან, „ქავთასით“ მკურნალობის შედეგების შესახებ ჩვენს მკითხველს თავად უამბონ:

**დედა გაიანე (ფილიშვილი):** დეფორმირებული მქონდა ნაღვლის ბუშტი და ვერაფრით ვშველოდი. მითხრეს, რომ სასწრაფოდ ამოსაკვეთი იყო. გარდა ამისა, მაწუხებდა უძილობა, სასწაული ტკივილები მუცლის ღრუში, თითქმის ვერანაირ საკვებს ვერ ვიღებდი და ამის ნიადაგზე სწრაფად დავიწყე წონაში კლება. მედიკამენტური მკურნალობა ჩავიტარე როგორც საქართველოში, ასევე მოსკოვშიც, მაგრამ ვერავინ ვერაფერი მიშველა. შემდეგ, ერთ-ერთი ჟურნალის მეშვეობით შევიტყვე ლელა გეჯაძის ნაყენის შესახებ და დავუკავშირდი. დავიწყე მკურნალობა. უფლის წყალობით, ყველა პრობლემა უკვალოდ გაქრა. ამიტომაც, ყველას ვურჩევ ლელას ნაყენის მიღებას, რადგან ეს ნამდვილად სასწაულმოქმედია, რაც მე საკუთარ თავზე გამოვცადე!

**ელზა სოლოღაშვილი (პაციენტის შვილი):** მამას ოპერაცია სჭირდებოდა საყლაპავ მილზე. დასიებული ჰქონდა ყბა და ყელი, თითქმის ვერ ლაპარაკობდა. კომპიუტერული ტომოგრაფიაც გადავუღეთ — ოპერაცია გარდაუვალი იყო. შემთხვევით შევიტყვეთ ქალბატონი ლელას ნაყენის შესახებ და უმალ დავიწყეთ მკურნალობა. შედეგი დღითიდღე გვაოცებდა: მამას ეტაპობრივად აულაგდა ყველა პრობლემა და დაუბრუნდა ხმა. ტომოგრაფიის ხელმეორედ გადაღების შემდეგ ყველა პრობლემა მოხსნილი დაგვხვდა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ ლელას.

**მამა გერასიმე (წმ. ანდრია პირველწოდებულის ტაძრის წინამძღვარი):** 6 წელი მაწუხებდა ყველაფერი მუცლის ღრუში, ვიტარებდი ეხოსკოპიურ გამოკვლევებს, მაგრამ ექიმები დიაგნოზს ვერ მისვამდნენ. მქონდა თავბრუსხვევები, გაუსაძლისი ტკივილი მუცლის ღრუში, თავის ტკივილები, წნევის ცვალებადობა და არითმია, ექიმები მინიშნავდნენ სხვადასხვა მედიკამენტებს, მაგრამ შედეგი დროებითი იყო. შემთხვევით გავიგე გეჯაძის ნაყენის შესახებ და დავიწყე მისი მიღება. შედეგს ყოველდღიურად ვამჩნევდი — დღითიდღე ლაგდებოდა ყველა პრობლემა, ხოლო საბოლოო შედეგის მისაღწევად თვენახევარი დაგვჭირდა. სრული პასუხისმგებლობით ვურჩევ ერს ლელას ნაყენის დალევას, რადგან ის მართლაც სასწაულმოქმედია!

**მურმან ხაჩიძე:** სისხლის კვლევებით დადასტურდა, რომ კრეატინინი იყო 400 ერთეულამდე აწეული და სასწრაფოდ მესაჭიროებოდა დიალიზზე გადასვლა. ეს რომ თავიდან ამეცილებინა, გადავწყვიტე, ქალბატონ ლელას ნაყენით მემკურნალა. დავიწყე და შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: კრეატინინი მინიმუმამდე დავიდა — 150 გახდა. უკვე 12 კურსი ჩავიტარე და ახლაც მკურნალობის პროცესში ვარ. რაც მთავარია, თავს კარგად ვგრძნობ.

**ნაზი ებრალიძე:** 47 წლის ასაკში დამეწყო ანალური ხვრელის წვა, ქავილი. ვამჩნევდი, რომ ხშირად ფეკალიებიც სისხლნარევი იყო, მაგრამ ამას მშრალ საკვებს ვუკავშირებდი მანამ, სანამ არ მივედი პროქტოლოგთან, რომელმაც მითხრა, რომ ეს მეორე სტადიის ბუასილი იყო და ოპერაცია მესაჭიროებოდა, რადგან ნაწლავის გარკვეული ნაწილი უკვე გარეთ იყო. ბედად შევიტყვე ლელა გეჯაძის და მისი სამკურნალო ნაყენი „ქავთასის“ შესახებ და გადავწყვიტე მკურნალობის დაწყება, რადგან ოპერაციის ძალიან მეშინოდა. „ქავთასით“ მკურნალობის შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა და რაც არ უნდა დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, ზუსტად 2 კვირაში ნაწლავი თავის ადგილს დაუბრუნდა. გარდა ამისა, სრულიად ამილაგდა ყველა სიმპტომი. დიდი მადლობა ქალბატონ ლელას ამ იდეალური ნაყენის შექმნისთვის!

**პ.ს. ერთ სტატიაში მადლიერ პაციენტთა სრული სიის გამოქვეყნება, რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდა, თუმცა ამ სტატიაში წარმოდგენილმა პაციენტებმა თავად ისურვეს მოეყოლათ საკუთარი პრობლემებისა და „ქავთასით“ მკურნალობის საოცარი შედეგების შესახებ.**




# კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

## აცხადებს კონკურსს

## აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად

**მიმართულება სამართალი**

**სპეციალობა კერძო სამართალი**

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია;

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 4 ვაკანსია.

**მიმართულება ბიზნესის ადმინისტრირება**

**სპეციალობა ფინანსები**

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია;

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 3 ვაკანსია.

**მიმართულება სოციალური მეცნიერებები**

**სპეციალობა საერთაშორისო ურთიერთობები**

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია;

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია.

**მიმართულება ჯანდაცვა**

**სპეციალობა სტომატოლოგია**

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია;

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია.

**სპეციალობა ფარმაცია**

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია;

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია.

**მიმართულება ჰუმანიტარული მეცნიერებები**

**სპეციალობა ფილოლოგია (ფრანგული ფილოლოგია)**

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია.

**კონკურსი ცხადდება 2016 წლის 5 მაისიდან**

**აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველებმა 2016 წლის 6 ივნისიდან 9 ივნისის ჩათვლით კონკურსანტთა საბუთების მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, შესაბამისი სპეციალობისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით (ივსება ადგილზე);

- ავტობიოგრაფია (CV);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ერთი ფოტოსურათი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი ყველა საგანმანათლებლო დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;
- პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;
- ინფორმაცია ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ;
- საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, სასერთიფიკატო კურსებსა თუ თრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელსაც მეტი ექნება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა);
- სამეცნიერო სტიპენდიებისა და გრანტების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.

**პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დამატებით საჭიროა:**

- დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
- იმ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კონცეფცია (აღწერა), რომლის განხორციელებაში მონაწილეობის სურვილიც აქვს კონკურსანტს;
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;
- საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ყველა სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის ცოდნას.

**ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დამატებით საჭიროა:**

- დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
- შესაბამის დარგში იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;
- საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ყველა სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის ცოდნას.

**პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დასადასტურებლად:**

- დარგში მუშაობის პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს, შესაბამის დარგში, წამყვან თანამდებობებზე არანაკლებ 5 წლის მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებით;
- უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის ცოდნას.

**კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:**

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კონკურსანტთა შერჩევა (კონკურსანტების დაუსწრებლად);

2. პირველ ეტაპზე შერჩეული კონკურსანტების საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება / იმიტირებული ლექციის ჩატარება (საჭიროების შემთხვევაში).

**კონკურსის პირობები:**

საკონკურსო განაცხადი და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იყოს საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადებში;

უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ძირითად კრიტერიუმებთან კონკურსანტების განაცხადების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დოკუმენტაციის გადარჩევა მოხდება საკონკურსო კომისიის მიერ.

**კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება 2016 წლის 10 ივნისს;**

**კონკურსის მეორე ეტაპი ჩატარდება 2016 წლის 11 ივნისს;**

**შედეგები გამოქვეყნდება 2016 წლის 11 ივნისს;**

**კონკურსანტთა საბუთების მიღება იწარმოებს მისამართზე**

**ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა №73, VII სართული, ოთახი №712**

**☎ 261-12-98; 230-86-41; 210-52-03**

# ევროკავშირმა შესაძლოა თურქეთთან უვიზო რეჟიმი შემოიღოს



ევროკავშირმა შესაძლოა თურქეთთან უვიზო რეჟიმი შემოიღოს.

სანაცვლოდ ბრიუსელმა შემდეგი პირობები წამოაყენა: თურქეთმა უნდა მიიღოს ყველა სირიელი ლტოლვილი, რომელთაც საბერძნეთში არალეგალურად შეაღწიეს და იქიდან გამოაძევეს. ამას გარდა, უნდა უზრუნველყოფილი იყოს სიტყვის თავისუფლება, სასამართლოების დამოუკიდებლობა და სხვა დემოკრატიული ნორმები.

ის ფაქტი, რომ თურქეთმა ლტოლვილების მიღებაზე თანხმობა განაცხადა, აგრეთვე ის, რომ თურქეთის ხელისუფლება ისლამისტ-ტერორისტებს მკაცრად დაუპირისპირდა, აიძულებს ევროპას, ბევრ დათმობაზე წავიდეს, მით უმეტეს, რომ ტერორისტებმა თურქეთზე საპასუხო დარტყმები განახორციელეს.

ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა სირიის ტერიტორიიდან თურქეთს რაკეტები დაუშინეს. პასუხად თურქეთის არმიამ ოპერაცია ჩაატარა. მებრძოლების პოზიციებს ცეცხლი გაუხსნეს სამხედრო ბაზიდან, რომელიც თურქეთის სამხრეთში მდებარეობს.

შედეგად ლიკვიდირებულა 34 მებრძოლი, განადგურებულია სარაკეტო დანადგარები და დიდძალი სამხედრო ტექნიკა, რომელიც ტერორისტებს ეკუთვნოდათ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!


**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი".


# ნატო აღმოსავლეთ ევროპაში დამატებითი ბატალიონების განლაგებას აპირებს

აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა განაცხადა, რომ ნატო აღმოსავლეთ ევროპაში დამატებითი ბატალიონების განლაგებას აპირებს. უწინარეს ყოვლისა, ეს მოხდება პოლონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, ესტონეთში.

– რუსეთის აგრესიული მოქმედება გვაიძულებს, კონტრზომები მივიღოთ, – თქვა კარტერმა.

აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ საუბარია 4.000 ჯარისკაცზე, რომელთაც ამ ქვეყნებში განალაგებენ.

– ჯერჯერობით საკითხი შესწავლის პროცესშია. თუკი რუსეთმა თავისი აგრესიული ქმედებები განაგრძო, ჩვენც საპასუხო ნაბიჯებს გადავდგამთ, – აცხადებს კარტერი.




**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ტირასპოლში რუსეთის საკონსულოს აფეთქება სცადეს

„დნესტრისპირეთის რესპუბლიკის" დედაქალაქ ტირასპოლში რუსეთის საკონსულოს აფეთქება სცადეს.




დაცვამ საკონსულოს შენობის მახლობლად ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები აღმოაჩინა.

ჯერჯერობით დაუდგენელია, ვის სურდა საკონსულოს აფეთქება.

აღნიშნული ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ეკვადორში მამაკაცმა ნანგრევებში 13 დღე გაატარა

ვენესუელელმა მაშველებმა შენობის ნანგრევებიდან ცოცხალი ამოიყვანეს ხანდაზმული მამაკაცი, რომელმაც იქ მიწისძვრის შემდეგ 13 დღე გაატარა. ამ ინფორმაციას ეკვადორში ვენესუელის საელჩოს ვებგვერდი ავრცელებს.




72 წლის მანუელ ვასკესი მაშველებმა 29 აპრილს დასახლებული პუნქტის ხარამახოს დათვალიერების დროს მიაგნეს. მათი თქმით, მამაკაცი ხმებს გამოსცემდა და სწორედ მისი წყალობით მოხერხდა მისი პოვნა.

ვასკესი გაუწყლოვნების, სისუსტისა და დეზორიენტაციის დიაგნოზით საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც მას მარცხენა ფეხზე რამდენიმე თითის ამპუტაცია გაუკეთდა. მას ასევე ექიმებმა თირკმლების ქრონიკული უკმარისობა და ქსოვილების ნეკროზი დაუდგინეს.

შეგახსენებთ, რომ ეკვადორში 7,8 მაგნიტუდის მიწისძვრა 17 აპრილის ღამეს მოხდა, რომლის შედეგადაც, ბოლო მონაცემებით, 659 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 29 ათასზე მეტი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

# სამხრეთ კორეაში ფერმიდან 200 ძაღლი გაათავისუფლეს



ხორცის მწარმოებელ ფერმაში, რომელიც სამხრეთ კორეის ქალაქ ვონჯუში მდებარეობს, ამერიკული ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის მოხალისეებმა 200-ზე მეტი ძაღლი გაათავისუფლეს. ისინი გასაყიდად და შემდეგ საკვებად იყვნენ გათვალისწინებულნი.

ათეულობით ოქროსფერი რეტრივერი, ციმბირული ჰასკი, როტვეილერები, იაპონური მასტიფები და კორეული ჩინდო გალიებში იყვნენ გამომწყვდეული. ცხოველები გათავისუფლების შემდეგ ამერიკული ორგანიზაციის აქტივისტებმა ცხოველების გადასაყვან მოწყობილობებში განათავსეს, რათა ისინი თვითმფრინავებზე დატვირთონ და აშშ-სა და კანადაში გადაიყვანონ. იქ კი მათ ცხოველთა თავშესაფრებში გაანაწილებენ.

როგორც ფერმის მეპატრონემ გუნ ინ-იუნგმა განაცხადა, ის წელიწადში რამდენიმე ასეულ ძაღლს ყიდიდა და, გამომდინარე მათი ზომებიდან, თითოეულ მათგანში მინიმუმ 200 დოლარს იღებდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამხრეთ კორეაში წელიწადში საკვებად 1,5-დან 2,5 მილიონამდე ძაღლის ხორცს მოიხმარენ საკვებად. თუმცა, ამავე დროს, ძაღლის ხორცის წარმოების ფერმერული ინდუსტრია წამგებიანი ხდება, ვინაიდან ქვეყნის ახალგაზრდა თაობა საკვებად ძაღლის ხორცის გამოყენებაზე უარს აცხადებს.

# ჩინელ ქალს 20 წლის წინ გატაცებული შვილი დაუბრუნდა



ჩინეთის ქალაქ შაოიანის მცხოვრები ქალი თავის შვილს, რომელიც 22 წლის წინ ადამიანებით მოვაჭრეებმა მოიტაცეს, ახლახან შეხვდა.

50 წლის ცზოუ ცისიუმ ერთ-ერთ ადგილობრივ გამოცემას განუცხადა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდა თავის შვილ იუანს, მას შემდეგ, რაც ის 1994 წელს უკვალოდ დაიკარგა. დაკარგული შვილის დაბრუნება ქალმა ადგილობრივი საქველმოქმედო ორგანიზაციის დახმარებით შეძლო, რომელიც დაკარგული ბავშვების ძებნითაა დაკავებული.

აღსანიშნავია, რომ საქველმოქმედო ორგანიზაციის თანამშრომლებს თავად მოტაცებული ყმაწვილი დაუკავშირდა. 26 წლის ახალგაზრდას სურდა, რაიმე გაეგო თავის ოჯახზე. მან ორგანიზაციის ვებგვერდზე საკუთარი მონაცემები და დნმ-ს ანალიზის შედეგები დატოვა. იუანის მონაცემები ცისიუს მონაცემებს დაემთხვა, რომელსაც უკვე ფლობდა ჩინეთის ხელისუფლება.

# მთვრალმა ქალმა ლუდის გამო მდინარე გადაცურა



ყაზახეთის ქალაქ ატირაუს მცხოვრებმა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ქალმა ნიძლავზე მდინარე ურალი გადაცურა. ნიძლავი კი 50 კათხა ლუდზე იყო დადებული.

მაშველების თქმით, თვითმხილველებმა მდინარეში მოცურავე ქალი შენიშნეს და სამაშველო სამსახურის მორიგეს აცნობეს. ადგილზე მისულმა სამაშველო სამსახურის ბრიგადის წევრებმა მდინარის მეორე ნაპირზე მჯდომი ადგილობრივი მცხოვრები ქალი დაინახეს. როდესაც ისინი მასთან ნავით მიცურდნენ დახმარების აღმოსაჩენად, აღმოჩნდა, რომ ქალი არაქათგამოცლილი იყო და, იმავე დროს, ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში იმყოფებოდა. მაშველებმა ის პოლიციას გადასცეს.

– მან საკუთარი სახელი და გვარი გვითხრა, ასევე გვითხრა, რომ 1983 წელსაა დაბადებული. როდესაც სამართალდამცავები დაინტერესდნენ, თუ რა გახდა მისი ასეთი უგუნური საქციელის მიზეზი, ქალმა უპასუხა, რომ ვიღაცას 50 კათხა ლუდზე დაენიძლავა. ეს სიმართლეა თუ არა, ვერ დავადგინეთ, – განაცხადა სამაშველო სამსახურის ხელმძღვანელმა სამატ კუმაშევმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ქალმა მდინარე იმ დროს გადაცურა, როდესაც წყლის დონე საგრძნობლად იყო მომატებული და დინებაც საკმაოდ ჩქარი იყო.

# სამი ლიტრი სპირტის დალევის შემდეგ პეტერბურგელი რეანიმაციაში მოხვდა




სანკტ-პეტერბურგში 34 წლის მამაკაცმა სამი ლიტრი სპირტი დალია, რის შემდეგაც ის, მძიმე მდგომარეობაში მყოფი, ერთ-ერთ ადგილობრივი საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს.

ამჟამად სამედიცინო დაწესებულების ექიმები მამაკაცის სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვიან. ადგილობრივი პრესის ცნობით, ექიმები გაოცებულნი არიან იმით, რომ ის ცოცხალია. მისი სისხლის ანალიზმა აჩვენა, რომ მასში ალკოჰოლის კონცენტრაცია 5,9 პრომილეს შეადგენს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში მამაკაცი ალკოჰოლური მოწამვლის დიაგნოზით სასწრაფო დახმარების ბრიგადამ მიიყვანა. აღსანიშნავია, რომ სწრაფი დიაგნოზის დასმას ხელი შეუწყო პაციენტის გარეგნულმა სახემ და არეულმა მეტყველებამ. მან ექიმებს ძლივს გააგებინა, რომ იმ დილით სამი ლიტრი სპირტი იყიდა და მაშინვე მარტომ დალია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


## განცხადებები

### იყიდება


● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.


### მკურნალობა


● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.



**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**

# კრიშტიანუ რონალდუ: „ციფრები ყველაფრის მეტყველია“




მადრიდის რეალის პორტუგალიელი შემტევის, კრიშტიანუ რონალდუს ანგარიშზე 93 საჩემპიონთალიგო გოლია. დღეს, ნახევარფინალში მანჩესტერ სიტისთან მისი თამაში საეჭვოა, მაგრამ თუ რეალი მოახერხებს და ფინალში გავა, პორტუგალიელს იქ შანსი ექნება, მისი მონაგარი კიდევ უფრო გაზარდოს.

თუმცა, ამის მიუხედავადაც, 31 წლის ფეხბურთელმა თავისი სახელი ისტორიაში უკვე ჩაწერა.

***– რას ნიშნავს თქვენთვის ის ფაქტი, რომ ჩემპიონთა ლიგის ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი ხართ?***

– დიდი პატივია გაიცნობიერო, რომ ჩემპიონთა ლიგაზე ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი ხარ. რა თქმა უნდა, მიხარია და ვამაყობ ამით, რადგან ჩემპიონთა ლიგა განსაკუთრებული ტურნირია. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ეს ტურნირი რეალს ძალიან უყვარს. მეც ძალიან მიყვარს და ორჯერ უკვე მოვიგე. იმედს ვიტოვებ, რომ ამ რიცხვს აუცილებლად გავზრდი და ასევე ვიმედოვნებ, რომ ეს წელს მოხდება.

***– მოედანზე ყოფნისას ყველაზე მეტად რა გახარებთ?***

– პირველ რიგში ის ფაქტი, რომ ვაკეთებ იმ საქმეს, რაც მიყვარს და ასევე მახარებს, რომ ჩემი თამაშით გულშემატკივრებს სიამოვნებას ვანიჭებ. ამიტომ ვცდილობ გავიტანო, რადგან მაყურებელს სტადიონზე გოლების ნახვა სურთ. ცხადია, მოგებაც.

***– როდესაც სპორტინგის აკადემიაში თამაშობდით, ვის გინდოდათ დამგვანებოდით?***

– სიმართლე გითხრათ, არასდროს კუმირი არ მყოლია და არც არავის ვბაძავდი. მომავალზე ყოველთვის ვფიქრობდი და უმთავრესი მიზანი იყო ნაკრებში მოხვედრა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ტოპ კლუბში აუცილებლად მოვხვდებოდი, ნაკრებში მოხვედრა კი უფრო რთული იქნებოდა. თუმცა, ყველაფერი ძალიან მალე მოხდა. არ დავმალავ და გეტყვით, რომ სამაგალითო ფეხბურთელები ნამდვილად მყავდა. ესენი იყვნენ ფერნანდო კოუტუ, რუი კოშტა და ლუიშ ფიგუ. მათ საკმაოდ ხმამაღალი სახელები დატოვეს პორტუგალიურ ფეხბურთში.

***– რა მიღწევებზე ფიქრობდით ბავშვობის წლებში?***

– ყოველთვის ვგრძნობდი, რომ განსაკუთრებული ვიყავი, მაშინაც კი, როდესაც სპორტინგში ვთამაშობდი. მჯეროდა, რომ, ადრე თუ გვიან, მაღალი დონის პროფესიონალი ვიქნებოდი. თუმცა, არ მეგონა, რომ ეს ძალიან მალე მოხდებოდა და ამისთვის ვემზადებოდი. თავდაუზოგავად ვშრომობდი და ვშრომობ ახლაც. არ აქვს მნიშვნელობა, რა დონის კლუბში ხარ – მუშაობა ყველგან აუცილებელია. ყოველდღე ვიზრდები როგორც ფეხბურთელი, ადამიანი, პიროვნება და მსიამოვნებს ჩემი შრომა.

***– 20 ან 30 წლის შემდეგ როგორ საფეხბურთო სამყაროს გაიხსენებთ?***

– ფეხბურთის ისტორიაში ნამდვილად შევალ. მოსწონს თუ არა ეს ხალხს, მათი საქმეა, მაგრამ ციფრები ყველაფრის მეტყველია. ლეგენდების გვერდით ვიქნები და დარწმუნებული ვარ, რომ ეს დავიმსახურე.

# ინგლისური ზღაპარი — მელიებმა პრემიერლიგა მოიგეს

ორშაბათ საღამოს ლესტერ სიტის ფეხბურთელები გუნდის ბომბარდირის, ჯეიმი ვარდის სახლში შეიკრიბნენ და ჩელსი-ტოტენჰემის მატჩს ერთად უყურეს. სწორედ მისი დამთავრების შემდეგ დაიწყო ზეიმი – ლესტერი ინგლისის პრემიერლიგის ჩემპიონი გახდა. ეს ტიტული კლუბმა 132 წლიანი ისტორიის მანძილზე პირველად მოიპოვა. აქამდე ლესტერის ისტორიაში პრემიერლიგაში მერვე ადგილი იყო საუკეთესო მიღწევა.

იტალიელი სპეციალისტის მაქსიმუმი იქნება, თუკი ის შეინარჩუნებს ადგილს პრემიერლიგაში – ასე ციტირებდა სეზონის დასაწყისში სხვადასხვა ბრიტანული სპორტული გამოცემა. უკმაყოფილო იყო ლესტერის გულშემატკივართა ნაწილიც, რომელიც გუნდის ხელმძღვანელობას აკრიტიკებდა პირსონის გუნდიდან გაშვებისა და კლაუდიო რანიერის მოყვანის გამო.

კლუბი, რომლის საერთო ღირებულება მხოლოდ 63 მილიონი გირვანქა სტერლინგია, ჩემპიონობისთვის 100 მილიონზე მეტს მიიღებს. მისი უშუალო მეტოქეების საფასური კი გაცილებით მეტი იყო: სიტი – 501 მილიონი, ჩელსი – 495 მილიონი, არსენალი – 440 მილიონი, მანჩესტერი – 415 მილიონი, ლივერპული – 366 მილიონი, ტოტენჰემი – 312 მილიონი.

პრემიერლიგის 2014-15 წლების გათამაშების სეზონი ლესტერმა მე-14 ადგილზე დაასრულა და მხოლოდ 6 ქულით გაასწრო გასავარდნ ზონას. მიმდინარე სეზონის სტარტზეც მიზნად კვლავ ადგილის შენარჩუნება დაისახა და საამისოდ კარგი წინაპირობა შეიქმნა – საწყის 10 ტურში 5 მოიგო, 4 ფრედ ითამაშა და მხოლოდ 1 წააგო. ის ერთადერთი მარცხი საკუთარ მოედანზე არსენალთან განიცადა (2:5) და რადგან სხვა გრანდებს არ შეხვედრია, ყველა ფიქრობდა, რომ „მელიების“ ამოცანა იგივე დარჩა.

შემდეგ 10 მატჩშიც ისევ 1 მარცხი განიცადა – ენფილდზე, ლივერპულთან. სამაგიეროდ, მოუგო ჟოზე მოურინიოს ჩელსის და პირველი სენსაცია შემოგვთავაზა. ასევე საკუთარ მინდორზე დაუზავდა მანჩესტერსა და სიტის. კლაუდიო რანიერის გუნდი პრემიერლიგის სათავეში მიმდინარე წელის 23 იანვარს მოექცა და მას შემდეგ ლიდერობა ერთხელაც არ დაუკარგავს.




კიდევ 10 მატჩი და ისევ 1 მარცხი... ისევ არსენალთან... სულ ეს არის – მელიებს სხვამ ვერავინ მოუგო...

ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ კი მიმდინარე სეზონის პრემიერლიგის საუკეთესო მოთამაშედ ლესტერის ნახევარმცველი რიად მაჰრეზი დაასახელა. ჯეიმი ვარდი ბომბარდირობისთვის იბრძვის. ფანტასტიკის სფეროს მიეკუთვნება ის ფაქტი, რომ ვარდი, რომელიც 4 წლის წინ, 25 წლის ასაკში, ინგლისის ჩემპიონატის რანგით მეხუთე დივიზიონში გამოდიოდა და კიდევ უფრო ადრე შეფილდის ერთ-ერთ ქარხანაში მუშაობდა, დაამყარა არაერთი რეკორდი და დღეს ის ინგლისის ნაკრების ერთ-ერთ მთავარ დამრტყმელ ძალად ითვლება. გუნდის ლიდერები არიან ვეს მორგანი და ნგოლო კანტე – ეს ოთხეული პრემიერლიგის სეზონის სიმბოლური ნაკრების კანდიდატები არიან და, სავარაუდოდ, მოხვდებიან კიდეც.

კიდევ ერთი ლიდერი და გუნდის სული და გული კასპერ შმეიხელია, რომელიც 5 წლის იყო, როდესაც მისმა მამამ და მანჩესტერ იუნაიტედის მეკარე პეტერ შმეიხელმა პრემიერლიგის მოგება შეძლო. აღნიშნული ჯილდო უფროსმა შმეიხელმა სულ 5-ჯერ მოიგო. როდესაც პეტერმა პრემიერლიგა უკანასკნელად მოიგო, კასპერი 13 წლის იყო.

პეტერ შმეიხელმა პრემიერლიგის მოგება პირველად 30 წლის ასაკში შეძლო. მაშინ მანჩესტერ იუნაიტედმა ჩემპიონობა 1994 წლის 2 მაისს გაიფორმა. ასე მოხდა ლესტერის შემთხვევაშიც. კასპერ შმეიხელი 29 წლის ასაკში სწორედ 2 მაისს გახდა პრემიერლიგის ჩემპიონი.

პეტერი და კასპერი მეორე მამა-შვილი არიან, რომელთაც პრემიერლიგის მოგება შეძლეს. აღნიშნულ წარმატებას მანამდე იან რაიტმა და შონ რაიტ-ფილიპსმა მიაღწიეს. უმცროსმა ფილიპსმა პრემიერლიგა 2006 წელს ლონდონის ჩელსისთან ერთად მოიგო, უფროსი კი 1998 წელს ლონდონის არსენალის რიგებში გახდა ინგლისის ჩემპიონი.

წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა გარი ლინეკერმა, რომელიც ლესტერის ღირსებას 1978-1985 წლებში იცავდა, ახლა კი ბიბისიზე საფეხბურთო გადაცემის წამყვანია, განაცხადა – ღმერთმა ქნას, წელს ლესტერი ჩემპიონი გახდეს და მერე თუნდაც საერთოდ გაქრეს საფეხბურთო რუკიდან.

მანვე დასძინა, რომ ლესტერის გაჩემპიონების შემთხვევაში მომდევნო სეზონის პირველ გადაცემაში გაშიშვლდებოდა და გადაცემას ტანსაცმლის გარეშე წაიყვანდა.

მელიების მიერ ჩემპიონობის მოპოვებიდან რამდენიმე წუთში ლინეკერმა სოციალურ ქსელში პირველი კომენტარი გააკეთა:

– ლესტერმა პრემიერლიგა მოიგო. ეს ყველაზე დიდი სპორტული სენსაციაა ჩემს ცხოვრებაში და ეს ჩემი გუნდია.

ახლა ლესტერი ბევრის გუნდია – მელიებმა ბევრი გულშემატკივარი შეიძინეს.

# სანდრო ბაზაძე ევროპის ჩემპიონია



ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში მიმდინარე 23-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს ნაკრების ლიდერმა სანდრო ბაზაძემ ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ხმლით ფარიკაობაში!

სანდრო ბაზაძემ წარმატებით გაიარა საკვალიფიკაციო ეტაპი და ასევე მაღალ დონეზე ჩაატარა გადამწყვეტი შეხვედრები. ქართველმა სპორტსმენმა ნახევარფინალში დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 15:13 დაამარცხა რუსი ალექსანდრ ტრუშაკოვი, ფინალში კი ხუთქულიანი უპირატესობით აჯობა იტალიელ ფრანჩესკო დარმიენტოს – 15:10.

აღსანიშნავია, რომ სანდრო ბაზაძე მესამედ გახდა 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული. მან ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი 2013 და 2014 წლებშიც მოიგო.

ბაზაძემ ახლახან რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაც მოიპოვა და საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციასთან ერთად აგვისტოში ოლიმპიადაზე იასპარეზებს.

# სიტი ფინალში გასვლას პირველად ეცდება

დღეს გაიმართება ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი მადრიდის რეალსა და მანჩესტერ სიტის შორის.

**რეალი – სიტი 1.53 4.2 6.5**

**(პირველი მატჩი 0:0)**

მეთოთხმეტედ ეცდება რეალი, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდეს. სიტისთვის კი ეს პირველი შემთხვევა იქნება.

პირველი მატჩის შემდეგ შანსი რეალს უფრო მეტი აქვს – სტუმრად ნათამაშები ფრე მადრიდელთა წისქვილზე ასხამს წყალს.

ეს პირველი ფრე არ იყო ამ გუნდებს შორის. 2012 წელს ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს და მანჩესტერში 1:1 დასრულდა, ხოლო მადრიდში რეალმა 3:2 მოიგო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო წუთზე. შედეგიანი ფრე კი, დღეს სიტის სასარგებლოდ იქნება.



რეალს დანაკლისი აქვს – მადრიდელებს ორი შემტევი დააკლდება: ტრავმები აქვთ კრიშტიანუ რონალდუსა და ქარიმ ბენზემას. ამავე მიზეზით სიტი სამირ ნასრის მოისაკლისებს. საეჭვოა დავიდ სილვასა და იაია ტურეს თამაშიც.

**მსაჯები სლოვენიელები არიან:** დამირ სკომინა (მთავარი); იურე პრაპროტნიკი, რობერტ ვუკანი (ასისტენტები); მატეი იუგი, სლავკო ვინჩიჩი (დამატებითი ასისტენტები); ბოაინ ული (მეოთხე);

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**რეალი:** ნავასი, მარსელო, პეპე, რამოსი, კარვახალი, კროოსი, კაზემირო, მოდრიჩი, ლუკას ვასკესი, ბეილი, ხესე

**სიტი:** ჰარტი, სანია, ოტამენდი, კომპანი, კლიში, ფერნანდო, ფერნანდინიო, დე ბრუინი, სტირლინგი, ნავასი, აგუერო

# შედეგები

**2 მაისი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-ტოტენჰემი ........................ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 36 | 22 | 11 | 3 | 64-34 | 77 |
| 2.ტოტენჰემი | 36 | 19 | 13 | 4 | 67-28 | 70 |
| 3.არსენალი | 36 | 19 | 10 | 7 | 59-34 | 67 |
| 4.სიტი | 36 | 19 | 7 | 10 | 68-38 | 64 |
| 5.მანჩესტერი | 35 | 17 | 9 | 9 | 43-31 | 60 |
| 6.ვესტ ჰემი | 35 | 15 | 14 | 6 | 60-43 | 59 |
| 7.საუთჰემპტონი | 36 | 16 | 9 | 11 | 53-39 | 57 |
| 8.ლივერპული | 35 | 15 | 10 | 10 | 59-48 | 55 |
| 9.ჩელსი | 35 | 12 | 12 | 11 | 55-48 | 48 |
| 10.სტოკი | 36 | 13 | 9 | 14 | 38-52 | 48 |
| 11.ევერტონი | 35 | 10 | 14 | 11 | 55-49 | 44 |
| 12.უოტფორდი | 35 | 12 | 8 | 15 | 36-42 | 44 |
| 13.სუონსი | 36 | 11 | 10 | 15 | 37-50 | 43 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 36 | 10 | 11 | 15 | 32-46 | 41 |
| 15.ბორნმუთი | 36 | 11 | 8 | 17 | 43-63 | 41 |
| 16.კრ.პალასი | 36 | 10 | 9 | 17 | 36-46 | 39 |
| 17.ნიუკასლი | 36 | 8 | 9 | 19 | 39-64 | 33 |
| 18.სანდერლენდი | 35 | 7 | 11 | 17 | 40-58 | 32 |
| 19.ნორვიჩი | 35 | 8 | 7 | 20 | 35-61 | 31 |
| 20.ასტონ ვილა | 36 | 3 | 7 | 26 | 27-72 | 16 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბრაიტონი-დერბი ........................ 1:1

ბარნლი-ქპრ ........................ 1:0

**ესპანეთი. პრემიერლიგა**

მალაგა-ლევანტე ........................ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 36 | 27 | 4 | 5 | 104-29 | 85 |
| 2.ატლეტიკო | 36 | 27 | 4 | 5 | 60-16 | 85 |
| 3.რეალი | 36 | 26 | 6 | 4 | 105-32 | 84 |
| 4.ვილიარეალი | 36 | 18 | 10 | 8 | 44-31 | 64 |
| 5.ბილბაო | 36 | 17 | 7 | 12 | 55-44 | 58 |
| 6.სელტა | 36 | 16 | 9 | 11 | 50-57 | 57 |
| 7.სევილია | 36 | 14 | 10 | 12 | 49-43 | 52 |
| 8.მალაგა | 36 | 11 | 12 | 13 | 34-33 | 45 |
| 9.ვალენსია | 36 | 11 | 11 | 14 | 44-44 | 44 |
| 10.ლას პალმასი | 36 | 12 | 7 | 17 | 44-49 | 43 |
| 11.ეიბარი | 36 | 11 | 9 | 16 | 46-56 | 42 |
| 12.სოსიედადი | 36 | 11 | 9 | 16 | 42-47 | 42 |
| 13.ბეტისი | 36 | 10 | 11 | 15 | 31-50 | 41 |
| 14.ესპანიოლი | 36 | 11 | 7 | 18 | 36-67 | 40 |
| 15.დეპორტივო | 36 | 7 | 18 | 11 | 43-59 | 39 |
| 16.გრანადა | 36 | 9 | 9 | 18 | 42-65 | 36 |
| 17.რაიო | 36 | 8 | 11 | 17 | 48-70 | 35 |
| 18.ხიხონი | 36 | 9 | 8 | 19 | 37-61 | 35 |
| 19.ხეტაფე | 36 | 9 | 8 | 19 | 35-64 | 35 |
| 20.ლევანტე | 36 | 7 | 8 | 21 | 34-66 | 29 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ბილბაო ბ-ლეგანესი ........................ 1:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვერდერი-შტუტგარტი ........................ 6:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 32 | 26 | 4 | 2 | 75-15 | 82 |
| 2.დორტმუნდი | 32 | 24 | 5 | 3 | 80-31 | 77 |
| 3.ლევერკუზენი | 32 | 17 | 6 | 9 | 52-36 | 57 |
| 4.გლადბახი | 32 | 15 | 4 | 13 | 63-49 | 49 |
| 5.ჰერტა | 32 | 14 | 7 | 11 | 41-40 | 49 |
| 6.შალკე | 32 | 14 | 6 | 12 | 46-47 | 48 |
| 7.მაინცი | 32 | 13 | 7 | 12 | 43-41 | 46 |
| 8.კიოლნი | 32 | 10 | 11 | 11 | 36-40 | 41 |
| 9.ინგოლშტადტი | 32 | 10 | 10 | 12 | 30-37 | 40 |
| 10.ვოლფსბურგი | 32 | 10 | 9 | 13 | 43-48 | 39 |
| 11.ჰამბურგი | 32 | 10 | 8 | 14 | 37-44 | 38 |
| 12.აუგსბურგი | 32 | 9 | 10 | 13 | 40-48 | 37 |
| 13.ჰოფენჰაიმი | 32 | 9 | 10 | 13 | 38-49 | 37 |
| 14.დარმშტადტი | 32 | 8 | 11 | 13 | 36-50 | 35 |
| 15.ვერდერი | 32 | 9 | 7 | 16 | 49-65 | 34 |
| 16.აინტრახტი | 32 | 8 | 9 | 15 | 33-51 | 33 |
| 17.შტუტგარტი | 32 | 9 | 6 | 17 | 48-69 | 33 |
| 18.ჰანოვერი | 32 | 6 | 4 | 22 | 29-59 | 22 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კარლსრუე-ზანდჰაუზენი ........................ 3:0

**იტალია. სერია ა**

ჯენოა-რომა ........................ 2:3

ნაპოლი-ატალანტა ........................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 36 | 28 | 4 | 4 | 69-18 | 88 |
| 2.ნაპოლი | 36 | 23 | 7 | 6 | 74-31 | 76 |
| 3.რომა | 36 | 21 | 11 | 4 | 77-40 | 74 |
| 4.ინტერი | 36 | 19 | 7 | 10 | 47-34 | 64 |
| 5.ფიორენტინა | 36 | 17 | 9 | 10 | 56-40 | 60 |
| 6.სასუოლო | 36 | 14 | 13 | 9 | 45-39 | 55 |
| 7.მილანი | 36 | 14 | 12 | 10 | 47-40 | 54 |
| 8.ლაციო | 36 | 14 | 9 | 13 | 47-47 | 51 |
| 9.კიევო | 36 | 13 | 10 | 13 | 43-42 | 49 |
| 10.ტორინო | 36 | 12 | 9 | 15 | 50-51 | 45 |
| 11.ემპოლი | 36 | 11 | 10 | 15 | 37-46 | 43 |
| 12.ჯენოა | 36 | 12 | 7 | 17 | 41-46 | 43 |
| 13.ბოლონია | 36 | 11 | 8 | 17 | 33-44 | 41 |
| 14.ატალანტა | 36 | 10 | 11 | 15 | 38-45 | 41 |
| 15.სამპდორია | 36 | 10 | 10 | 16 | 48-53 | 40 |
| 16.უდინეზე | 36 | 10 | 8 | 18 | 33-57 | 38 |
| 17.კარპი | 36 | 8 | 11 | 17 | 34-53 | 35 |
| 18.პალერმო | 36 | 9 | 8 | 19 | 35-63 | 35 |
| 19.ფროზინონე | 36 | 8 | 7 | 21 | 35-71 | 31 |
| 20.ვერონა | 36 | 4 | 13 | 19 | 30-59 | 25 |

**იტალია. სერია ბ**

ჩეზენა-პრო ვერჩელი ........................ 2:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ვალანსიენი-ნანსი ........................ 1:0

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ალმერე-ემენი ........................ 4:1

მაასტრიხტი-ვოლენდამი ........................ 2:1

**პორტუგალია. თასი**

ბენფიკა-ბრაგა ........................ 2:1

**რუსეთი. თასი**

**ფინალი**

ზენიტი-ცსკა ........................ 4:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დანდი-დ.იუნაიტედი ........................ 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-ოსმანლი ........................ 1:1

**პოლონეთი. თასი**

**ფინალი**

ლეხი-ლეგია ........................ 0:1

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-ოდენსე ........................ 0:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-იონჩოპინგი ........................ 0:0

გეფლე-გიოტებორგი ........................ 2:6

კალმარი-იორებრო ........................ 3:2

ნორჩიოპინგი-ჰელსინბორგი ........................ 3:0

დიურგარდენი-ესტერსუნდი ........................ 3:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ბოდო გლიმტი-სარპსბორგი ........................ 0:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# „სააკაშვილი დაბრუნებას გეგმავს“

ფრანგულმა რადიოსადგურმა „RFI _ Radio France Internationale“-მ საქართველოს ექსპრეზიდენტისა და ოდესის ოლქის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის შესახებ სიუჟეტი გადასცა.

– საფრანგეთის საერთაშორისო რადიოს“ ყოველკვირეულ მიმოხილვაში ვრცლადაა საუბარი მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუზე „რუსთავი-2“-თან, რომელშიც იგი თავის უკრაინული საქმიანობის წარმატებებზე და საქართველოსთან დაკავშირებულ გეგმებზე საუბრობს.

სიუჟეტში მოცემულია აგრეთვე ქართველი პოლიტიკოსების და ექსპერტების კომენტარებიც, რომლებიც ექსპრეზიდენტის საქართველოში სავარაუდო დაბრუნების თაობაზე მსჯელობენ. აი, მაგალითად, რას ამბობს პეტრე მამრაძე, სახელმწიფო კანცელარიის აპარატის ყოფილი უფროსი: „ერთიანი ნაციონალური მოძ-



რაობის“ არჩევნებში გამარჯვება გამორიცხულია. დიდი-დიდი, „ნაციონალებმა“ ხმების 10% მიიღონ. თვითონ მიხეილ სააკაშვილიც საქართველოში ვერ დაბრუნდება, რადგან მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და ძებნაა გამოცხადებული.

ფრანგული რადიოსადგურის მასალაში განხილულია ამერიკელი კონგრესმენის სტივ რასელის განცხადებაც, რომლის თანახმად, იგი ვარაუდობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შესაძლოა საპარლამენტო არჩევნების ფალსიფიცირება მოახდინოს.

რადიო სიუჟეტში საუბარია აგრეთვე საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროკავშირის შენგენის ზონაში სამოგზაუროდ უვიზო რეჟიმის დაწესების შესახებაც: „პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა ბრიუსელში ვიზიტის დროს რამდენიმე პრობლემა დაასახელა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ევროპარლამენტის მიერ საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შემოღებას. დავით უსუფაშვილის თქმით, ვიზალიბერალიზების მიღების გზაზე ერთ-ერთი პრობლემა მმართველი კოალიციის წევრების სტალინისტური განცხადებები არისო“. ამის შესახებ „რადიო ფრანსე ინტერნასიონალეს“ კორესპონდენტთან საუბარში პოლიტოლოგი გია ნოდია ასეთ კომენტარს აკეთებს: „არა მგონია, რომ „მრეწველთა“ ლიდერის სტალინისტური განცხადებები ევროპელებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. სხვა საქმეა, თუ ყოველი ქართველი ჩინოვნიკის კაბინეტში იოსებ სტალინის პორტრეტი იქნება დაკიდებული. აი, მაშინ საქართველოს პროევროპული პოლიტიკა ეჭვქვეშ დადგებოდა“.

რადიოსიუჟეტში აღნიშნულია, რომ ევროპარლამენტში საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის დაწესების საკითხის განხილვა და ხმის მიცემა ზაფხულშია დაგეგმილი, საბოლოო გადაწყვეტილებას კი ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა მეთაურების სამიტი მიიღებს.

**ნიუსპრესი**

# ლინას ლინკევიჩიუსი: „ნატომ საკუთარ შეცდომებზე ვერაფერი ისწავლა“

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის ლინას ლინკევიჩიუსის განცხადებით, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა საკუთარი შეცდომებიდან ვერაფერი ისწავლა.



მინისტრი შეცდომას უწოდებას იმ ფაქტს, რომ ალიანმა 2008 წელს საქართველოს და უკრაინას მაპი არ მისცა, ასევე იმას, რომ აგვისტოს ომის შემდეგ დასავლეთმა რუსეთს სანქციები არ დაუწესა.

როგორც ლინკევიჩიუსმა რადიოსადგურ „ამერიკის“ ხმას განუცხადა, ერთადერთი მხარე, რომელიც ნატოს მოქმედებებზე დაყრდნობით გარკვეულ დასკვნებამდე მივიდა, რუსეთი იყო.

– მოსკოვმა გაიგო, რომ ასე მოქმედება შეუძლია; რომ შეუძლია მოახდინოს სახელმწიფოს ნაწილის ანექსია მისთვის მინიმალური უარყოფითი შედეგებით. მოგეხსენებათ, რუსეთ-საქართველოს ომიდან რამდენიმე თვეში ურთიერთობები ნორმალურ ფარგლებს დაუბრუნდა და 2008 წელს ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების, ეგრეთწოდებული, სარკოზის გეგმის პირობებს რუსეთი დღემდე არ ასრულებს, – აცხადებს მინისტრი.

ლიტვის პირველ დიპლომატს მიაჩნია, რომ დღეს ევროპაში იგივე დამოკიდებულება შეინიშნება, რაც 2008 წელს იყო. დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთს სანქციები მოეხსნას და ურთიერთობები კვლავ ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.

– არ შეიძლება ამის გაკეთება. ეს ძალიან ხანმოკლე წარმატება იქნება. ჩვენ ისევ დავუბრუნდებით ძველ სიტუაციას და მერე გაგვიკვირდება, რატომ მოხდა სადღაც რაღაც. არ მინდა ახლა ჩამოვთვალო, სად რა შეიძლება მოხდეს, მაგრამ ყველამ ვიცით, სად არის გაყინული კონფლიქტები, რომლებიც უბრალოდ გაღვიძების საკუთარ რიგს ელოდება. ჩვენ საკუთარ თავს არ უნდა ვადანაშაულებდეთ იმაში, რომ რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა. ეს ჩვენ არ გაგვიკეთებია! მაგრამ იმით, რომ რაღაცებზე თვალს ვხუჭავთ, ვივიწყებთ საკუთარ მოთხოვნებს, ვაწარმოებთ ეგრეთწოდებულ, არაპროვოკაციულ პოლიტიკას – რომელიც მე მიმაჩნია, რომ სწორედ პროვოკაციულია – ხელს ვუწყობთ წაქეზებას. ჩვენ მომხდარში თავი არ უნდა დავიდანაშაულოთ, მაგრამ ვალდებულები ვართ პასუხისმგებლობა გავიზიაროთ, – განაგრძობს მინისტრი.

**ნიუსპრესი**

სპორტი

# შერმადინი ტურის საუკეთესო კალათბურთელია

პირველად, კარიერაში, გიორგი შერმადინი ესპანეთის უმაღლესი ლიგის ტურის საუკეთესო მოთამაშე გახდა. ეს 30-ე ტურში მოხდა, როდესაც ანდორამ მოგების გემო გაიხსენა და შერმადინის ლიდერობით ხუვენტუდი 96:65 დაამარცხა.

ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე არასრული 26 წუთი დაჰყო და შეუდარებელი სტატისტიკა აჩვენა. 9-დან 8 ორქულიანი და 10-დან ყველა საჯარიმო ჩააგდო, 26 ქულა დააგროვა და ამას 5 მოხსნა მოაყოლა. ქართველ ცენტრს მთლიანობაში 36 მარგი ქმედების კოეფიციენტი დაუგროვდა და ამის წყალობით ის ტურის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

შერმადინმა აჯობა ბარსელონელ ანტე ტომიჩს, რომელმაც ბილბაოსთან მოგებულ მატჩში 16 ქულა, 15 მოხსნა და მარგი ქმედების 32 კოეფიციენტი დააგროვა. 25 ერთეულით მესამე შედეგი აჩვენა ტენერიფელმა ალბერტო კორბახომ.

მარგი ქმედების კოეფიციენტის 36 ერთეული შერმადინისთვის კარიერაში სარეკორდოა. აქამდე მას ორჯერ (ორჯერვე მიმდინარე სეზონში) ჰქონდა მოგროვებული 34 – წინა ტურში გრან კანარიასთან და მე-14 ტურში მონბუსთან.

**გიორგი შერმადინი:**

– ესპანეთის ჩემპიონატის ტურის საუკეთესო მოთამაშე კარიერაში პირველად გავხდი და ამით ძალიან გახარებული ვარ. ყველას მინდა მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის. თანაგუნდელებს, მწვრთნელებს, გულშემატკივრებს... აქამდე რამდენიმე ცუდი მატჩი ჩავატარეთ, მაგრამ ხუვენტუდთან ყველამ კარგად ითამაშა როგორც დაცვაში, ისე შეტევაში. ყველა კმაყოფილია და ასე უნდა გავაგრძელოთ.

ბექა ბურჯანაძის ლეიმა ბასკეტ კორუნამ პლეი ოფის სერიის მე-4 მატჩი სტუმრად, ბრეგანთან ბრძოლაში (83:90) წააგო და საერთო ანგარიში გათანაბრდა – 2:2. გადამწყვეტ შეხვედრას, რომლის გამარჯვებულიც ნახევარფინალში გავა, ლეიმა ბასკეტი ლა კორუნიაში უმასპინძლებს.

გეტყვით, რომ ესპანეთის მეორე ლიგის პლეი ოფში ბრძოლა უმაღლესი დივიზიონის საგზურისთვის მიმდინარეობს. თუკი 3 მაისის მატჩში იმარჯვებს, ნახევარფინალურ სერიაში ბურჯანაძის გუნდი მელილას დაუპირისპირდება.

გასულ შეხვედრას რაც შეეხება, ბურჯანაძემ 26 წუთი ითამაშა და 13 ქულასთან ერთად 3 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ქართველმა ფორვარდმა 4-დან 1 ორქულიანი, 4-დან 3 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.




თურქეთის ჩემპიონატში გამარჯვება მოიპოვა ვიქტორ სანიკიძის თედ კოლეჯლერმა. ქართველი ფორვარდის გუნდი სტუმრად ტრაბზონსფორს შეხვდა და მიუხედავად იმისა, რომ ცხრილში გვარიანად ჩამორჩებოდა, საკმაოდ იოლად დაამარცხა –79:63.

მატჩის ბედი მეორე ტაიმში გადაწყდა, რომელიც ანკარელებმა 39:21 მოიგეს. ქართველი ფორვარდი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 30 წუთში 12 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. სანიკიძეს გამარჯვებულთაგან მხოლოდ მარკო ტომასმა აჯობა, რომელმაც 34 წუთში 19 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა.

9 მოგებითა და 19 მარცხით სანიკიძის გუნდი 16 გუნდიან ლიგაში მე-14 ადგილზეა. მომდევნო ტურის მატჩს ანკარელები ლიდერ ეფესს უმასპინძლებენ.

მანუჩარ მარკოიშვილის დარუშაფაკამ კი სტუმრად ისტანბული დაამარცხა. ბრძოლა ბოლო წუთებამდე გაგრძელდა, რომელიც მარკოიშვილის გუნდმა 3 ქულის სხვაობით – 87:84 მოიგო.

ქართველი უკანახაზელი მოედანზე მხოლოდ 14 წუთით გამოჩნდა და 2 ქულას დასჯერდა. მანუჩარმა 2-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, 3 სამიანი კი ააცილა. 2 ქულასთან ერთად მარკოიშვილს 2 მოხსნა ჰქონდა.

19 მოგებითა და 9 წაგებით დარუშაფაკა მე-3 ადგილზეა, თუმცა მეოთხეზე მყოფ გალათასარაის აქტივში 2 მატჩით და 3 ქულით ნაკლები აქვს. მომდევნო მატჩი მარკოიშვილის გუნდს შინ, ტრაბზონსფორთან ელის.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ასტროპროგნოზი

## 4 მაისისთვის



**ვერძი** – წარმატებული დღეა ყველა თვალსაზრისით. ბიზნესის დასაწყებად მშვენიერი პერიოდია. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა გაამართლებს. **კურო** – დღეს, შესაძლოა, ისეთი საქმიანი შემოთავაზება მიიღოთ, რომელიც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას ძალზე გააუმჯობესებს. **ტყუპები** – ცრუ დაპირებები არ გასცეთ. ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. ფრთხილად იყავით, არავინ მოგატყუოთ. **კირჩხიბი** – თავგადასავლებითა და პროვოკაციებით სავსე დღეა. ახლობელთან კონფლიქტის მიზეზი შესაძლოა თქვენი მეტისმეტი ქედმაღლობა და სიჯიუტე გახდეს. **ლომი** – ნათესავებთან და ძველ მეგობრებთან ურთიერთობა გიუმჯობესდებათ. დღეს აკრძალულია ნებისმიერი კაპიტალდაბანდება. **ქალწული** – კოლეგებთან ურთიერთობაში აუცილებელია პატიოსნება და გულწრფელობა. სამსახურში სიძნელეებს წააწყდებით. საღამოს განმარტოვდით მყუდრო გარემოში. **სასწორი** – კარგი დღეა საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისათვის. წარმატებას იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ გარშემომყოფების აზრს გაითვალისწინებთ. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **ღრიანკალი** – თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოთქმებისაგან. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, ნუ გადაიღლებით. **მშვილდოსანი** – მიხედეთ პირად ცხოვრებას, შეხვდით საყვარელ ადამიანს, მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი. **თხის რქა** – იღბლიანი დღეა, რომელიც განსაკუთრებით წარმატებულია ბიზნესის სფეროში მომუშავე ადამიანებისათვის. ბევრი თქვენგანისთვის სასიამოვნო ცვლილებები იწყება. **მერწყული** – გადაწყვეტილებები თქვენი შესაძლებლობების გათვალისწინებით მიიღეთ. მიენდეთ ინტუიციას და ისე იმოქმედეთ. თქვენთვის ავტორიტეტული ადამიანების აზრი მხედველობაში მიიღეთ. **თევზები** – ძალზე პერსპექტიული დღეა. გაგიმართლებთ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. ცოდნის მისაღებად მშვენიერი შანსი გეძლევათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 2. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 3. პიესა „ხანუმას“ ავტორი; 4. ეგრისის დედაქალაქი; 7. განმარტებითი ხასიათის შენიშვნა; 8. პირობითი სასჯელი; 12. სიტყვის თავსართი; 14. მეშახტეთა შორის გავრცელებული ფილტვების დაავადება; 16. ბეჭდვითი გამოცემა, იუმორისტული ნახატების სერიალი ტექსტთან ერთად; 17. შენობის სახურავად გამოყენებული თიხის გამომწვარი ფირფიტა; 19. ოფიციალური დოკუმენტი; 20. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად**: 5. ოფიციალური განცხადება საერთაშორისო მოლაპარაკების შედეგების შესახებ; 6. ქართველი მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 9. შენიშვნა, განმარტება ტექსტში; 10. გაერთიანებული ერების საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 11. ყველაზე წყალუხვი მდინარე აფრიკაში; 13. ცხელი, შაქრიანი წყლით შეზავებული რომი ან არაყი; 15. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 18. ავტოდრომი იტალიაში; 21. ლექციის, მოხსენების მოკლე ჩანაწერი; 22. ქალაქი იმერეთში; 23. ძილის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „არლანდა“; 2. „მესაჯერო“; 3. გრანიტი; 5. ფაგოციტი; 7. „დათვები“; 9. აქუბარდია; 13. სარბაზი; 15. ორფოლო; 16. იამოტო; 18. ატაშე.

**თარაზულად:** 4. გრინფისი; 6. გლეტჩერი; 8. მადაგასკარი; 10. „ლევანტე“; 11. უშტი; 12. ობლიგო; 14. ბორტი; 17. „ბროლა“; 19. ოფურო; 20. ჟოეკვარა; 21. ალფა; 22. პოსეიდონი; 23. კეტჩერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვიადუკი; 2. მექისე; 3. „მესაჯერო“; 4. სატელიტი; 7. სიბელიუსი; 8. „კავკასია“; 12 წუწუნავა; 14. ფილოლოგი; 16; წერაქვი; 17. კალმახი; 19. მესა; 20. ქაჯი.

**თარაზულად:** 5. ზიმბაბვე; 6. კლეპსიდრა; 9. სულორი; 10. სირაჯი; 11. ჭვავი; 13. დურდო; 15. პიარნუ; 18. ნესვი; 21. ქორწინება; 22. ქარაგმა; 23. იარლიყი.

# აკაკი ხორავას დაბადების დღე მთაწმინდის პანთეონში აღინიშნა



ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავის აკაკი ხორავას 121-ე დაბადების დღე მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში აღინიშნა. ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის წევრებმა ტრადიციულად აღნიშნეს გენიალური მსახიობის დაბადების დღე.

წელს უკვე 21-ედ ისინი მთაწმინდის პანთეონში მომავალ თაობებთან ერთად შეიკრიბნენ და გამოჩენილი მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის ხსოვნას პატივი მიაგეს:

– აკაკი ხორავას დაბადების დღის მთაწმინდის პანთეონში აღნიშვნა ჩოხოსნების უცვლელი ტრადიციაა. წელს ეს დღე გამორჩეული იმითაც იყო, რომ ამჯერად სტუმრად გვყავდნენ დუშეთის მე-2 სკოლის მოსწავლეები, რომელთაც აკაკი ხორავას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მეტად საინტერესოდ ესაუბრა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ბატონი გუბაზ მეგრელიძე, – განაცხადა ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელმა გოგი დოლიძემ.

# კულტურის პალატამ ნონა გაფრინდაშვილს ვარსკვლავი გაუხსნა



საქართველოს კულტურის პალატამ ქართველ მოჭადრაკეს ნონა გაფრინდაშვილს ვარსკვლავი გაუხსნა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის სახელობითი ვარსკვლავი ჭადრაკის სასახლის წინ გაიხსნა.

ნონა გაფრინდაშვილს ვარსკვლავი მის 75-ე დაბადების დღეზე საზეიმოდ გაუხსნეს.

ქართველი მოჭადრაკე იყო ფიდეს ქალთა კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი.

ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის 11-გზის ოქროს და ერთგზის ვერცხლის მედლის მფლობელია გუნდურ ჩათვლაში, ინდივიდუალურად კი მოპოვებული აქვს 9 ოქროს, 3 ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მცირე მედლები. სულ ოლიმპიადებზე ნონა გაფრინდაშვილმა 128 პარტია ჩაატარა.

მას მოპოვებული აქვს საქართველოს ოთხგზის და სსრ კავშირის 5-გზის ჩემპიონობა, არის ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის გათამაშების პირველი და ორგზის ჩემპიონი და 26 სხვადასხვა დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის გამარჯვებული.

– ძალიან ბედნიერი ვარ. დიდი მადლობა ყველას იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, რომელსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ. მადლობა ჩემს სამშობლოს, ჩემს თანამემამულეებს ასეთი დაფასებისა და სიყვარულისთვის, – განუცხადა ჟურნალისტებს ნონა გაფრინდაშვილმა ვარსკვლავის გახსნაზე.

# დათო მაღრაძე იტალიაში სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს



ქართველი პოეტი დათო მაღრაძე იტალიაში სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს. ეს ინფორმაცია გაავრცელა საქართველოს საელჩომ იტალიაში:

– რომში, სან სალვატირე ინ ლაუროს სამუზეუმო კომპლექსში, დონ ლუიჯი ლიეგროს სახელობის პოეზიის საერთაშორისო კონკურსის ჟიურის სპეციალური პრემია გადაეცა პოეტ დათო მაღრაძეს წიგნისათვის „ექო“, რომელიც გამომცემელი ჯულიანო ლადოლფის მიერ გამოიცა იტალიაში. დაჯილდოვდა, ასევე, ლექსების კრებულის მთარგმნელი ქალბატონი ნუნუ გელაძეც. დაჯილდოების ცერემონიალს დაესწრო ელჩი კახა სიხარულიძე. საქართველოს საელჩო ულოცავს ბატონ დათოს და ქალბატონ ნუნუს კიდევ ერთ აღიარებას და წარმატებებს უსურვებს მათ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ამერიკაში სამუდამო პატიმარი ქართველი არქიტექტორი გაათავისუფლეს



21 წლის წინ სამუდამო პატიმრობამისჯილი ქართველი არქიტექტორი გაათავისუფლეს. 60 წლის კოკა გეგეჭკორი სამშობლოში უახლოეს დღეებში დაბრუნდება.

არქიტექტორს ამერიკის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა იმ დანაშაულისთვის მიუსაჯა, რომელიც მას არ ჩაუდენია. მაშინ ამბობდნენ, რომ არქიტექტორმა დანაშაული სხვის მაგივრად დაიბრალა და ყველაფერში დამნაშავე სიყვარული იყო. კოკა გეგეჭკორი სასჯელს მკვლელობისთვის იხდიდა, თუმცა იგი გათავისუფლდა.

ინფორმაცია ამის შესახებ ინტერნეტში არქიტექტორის დამ, ნინო გეგეჭკორმა გაავრცელა:

– გაათავისუფლეს! მალე ჩამოვა!!!!

კოკა გეგეჭკორი 1994 წლიდან იხდიდა სასჯელს ნიუიორკის ცნობილ ციხეში სინგ-სინგში. წლების განმავლობაში ქართველი არქიტექტორის გათავისუფლებისთვის და სამშობლოში დაბრუნების მოთხოვნით ხელმოწერებიც შეგროვდა, მაგრამ უშედეგოდ. ახლა კი, 21-წლიანი პატიმრობა დასრულებულია და 60 წლის გათავისუფლებული არქიტექტორი საქართველოში ჩამოვა.

„ამერიკა ერთ ოთახში“ – ასე უწოდა თავის ფილმს რეჟისორმა დავით კანდელაკმა, რომელიც კოკა გეგეჭკორს მიეძღვნა.

ფილმის პრემიერა თბილისის მერვე საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა.

# „შავნაბადა“ კონცერტებს რუსეთში გამართავს

აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „შავნაბადა“ რუსეთის რესპუბლიკაში გასტროლზე მიემგზავრება.

ანსამბლი ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდში საქართველოს სათვისტომოს „ოქროს საწმისის“ ხელმძღვანელის მევლუდ ჭუმბურიძის ინიციატივით 4 მაისს კონცერტს გამართავს, რომელსაც სხვა საზოგადოებასთან ერთად, აფხაზეთიდან დევნილებიც დაესწრებიან.

5 მაისს წმიდა სერაფიმე საროველის ხსენების დღეს, „შავნაბადა“ სადღესასწაულო წირვის ლიტურგიაში მიიღებს მონაწილეობას. 6 მაისს გიორგობის სადღესასწაულო წირვა ანსამბლის მიერ შესრულებული ქართული საგალობლებით აღევლინება, რომელშიც ადგილობრივი ქართველებიც მიიღებენ მონაწილეობას. 6 და 7 მაისს „შავნაბადას“ წევრები მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო მართლმადიდებლური ქვეყნების სააღდგომო საგალობლების ფესტივალში.

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 4 მაისი**

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 00.30 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 12.30 "გურმანია" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "ხანმოკლე XX საუკუნე" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.10 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. 22.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა 1/2 ფინალური მატჩი: 00.40 მხ/ფ "**უდაოდ" ალბათ**" 02.30 "პირადი ექიმი"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) 13.00 დ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 18.00 დ/ფ "გიიკების რევანში" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ "**ბამბის ველი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სტუმრად იუმორინასთან 00.30 მხ/ფ "**დამრიგებელი**" 02.45 მხ/ფ "**სისხლით და ოფლით**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**აღთქმა**" 22.00 ნანუკას შოუ 00.00 გააცინე და მოიგე 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ავატარი - ლეგენდა აანგის შესახებ**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00, 3.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00 სერ. "**ძვლები**" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "**ნამდვილი დეტექტივი**" 23.40 სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" 0.40 მხ/ფ "**ვარსკვლავური ომები**"

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.05 მოკ. მხ/ფ "**საერთო კედელი**" 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 სათავეებთან 11.15 ერთხელ ბავშვობაში 11.30 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "სერაფიტი" 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "ნოლინა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 ველური ბუნება 16.00 კონცერტი ანსამბლი "რუსთავი" I ნაწ. 17.00 ძველი აფიშა "დაკარგული ნიღბები" 17.30 მოკ. მხ/ფ "**ბურთი და მოედანი**" 17.45 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**აბეზარა**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ივერიის ეკლესია 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 00.25 ისტორიის დღიური 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები"-33 (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.05, 1.00 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 დოკ/სერ. "მსოფლიოს საუკეთესო სახლები" 16.05, 17.05 სერ. "**კარმელიტა**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 2.30 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**თვალები**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "**შენიღბული**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# სამგლოვიარო განცხადებები

## ვენერა ჯორბენაძის ხსოვნას

საყვარელი ბიცოლას გარდაცვალებიდან 40 დღე გავიდა. მისი სული გადავიდა მარადისობაში, ვფიქრობთ, რომ იგი სამოთხეში იქნება და იქედან დალოცავს შვილებს, შვილიშვილებს, მათ შვილებს და ყველა ახლობელს. ის არა მარტო ძვირფასი ადამიანი, არამედ ჩემი ბავშვობის და ყმაწვილქალობის მემატიანე იყო...



თავმდაბალი და კეთილი,
ცოდნის საუნჯე იყავი,
გიყვარდი, შვილების გვერდით
ადგილი გამომიყავი.
მიმაცილებდი ჭიშკართან,
თან მომყვებოდი თვალებით,
გახარებული ხშირად და
ზოგჯერ კი სავსე ნაღველით.
არ შემისრულებ სურვილს და
ოთხმოცდაათის ვერ განახავ,
სიზმარში შენს ლამაზ სახეს
მხოლოდღა წამიერ ვნახავ.
მიყვარხარ, ტკბილო ბიცოლა
ვერ დაგივიწყებ მანამდე,
სანამ კვლავ შენთან მოვალ და
გამომაცილებ კარამდე.

*მზია ჩაჩავა*

მამა ილია, მამიდა ანა ბეგიაშვილები, დისშვილები ნატა, ქრისტინე და ანდრო იუწყებიან

## მიხეილ (მიშიკო) ბეგიაშვილის



გარდაცვალებას.

პანაშვიდი: ოთხშაბათს, 4 მაისს, 17 საათიდან.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 5 მაისს, 14 საათზე, ბზიფის ქ. №3.

დაკრძალვა: პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

აპრილის შვილი იყავი,
აპრილშიც დაგვემშვიდობე,
ამ დამზრალ საქართველოში
სიცოცხლე აღარ ინდომე.
გიცნობენ ანგელოზები,
კუკიაზეც და ვერაზეც
და ცხრა აპრილის ცვარნამით
დაინამებით ყველანი.

მეუღლე შოთა გორგოძე, შვილი მანანა, სიძე დავით კვაჭაძე, შვილიშვილები დათო და თამრიკო კვაჭაძეები, სიძე ლევან სიხარულიძე, შვილთაშვილი ილიკო სიხარულიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლაურა გუნიავა-გორგოძე**

პანაშვიდი: 3, 4 მაისს.
დაკრძალვა: 5 მაისს, 14 საათზე.
მისამართი: თბილისი, თაქთაქიშვილის (რიგის) ქუჩა №2.

და ბელა (ლერი) გუნიავა-ნინიძე, სიძე ვახტანგ ნინიძე, დისშვილები დავითი, ნანა ნინიძეები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან საყვარელი დისა და დეიდის

**ლაურა გუნიავა-გორგოძის**

გარდაცვალებას.

ვაჟა, ჯემალ, ნათელა გორგოძეები, რძლები ნათელა, ნარგიზი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან საყვარელი რძლის

**ლაურა გუნიავა-გორგოძის**

გარდაცვალებას.

ვალერი გორგოძე, გოჩა გორგოძე, მალხაზ ხვედელიანი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან ბიცოლას

**ლაურა გუნიავა-გორგოძის**

გარდაცვალებას.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

4 მაისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2309 |
| ევრო | 2.533 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2495 |
| 100 რუსული რუბლი | 3.4476 |

**ამინდის პროგნოზი 4 მაისისთვის**





## 3 მაისიდან

ჰარიეტ ბიჩერ სტოუ

## ბიძია თომას ქოხი

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 1




**წიგნის სპეციალური ფასი 9,5 ლარი**

**გაზეთთან ერთად 10 ლარი**

წიგნი მოგვითხრობს ამერიკელი შავკანიანი მონების ცხოვრების შესახებ.

ბიძია თომა, კასი, ჯორჯ ჰარისი, ელიზა და სხვა უამრავი ადამიანი მონის მძიმე უღელს ატარებს. მათი ბედი ბატონების ხელშია.

წიგნმა დიდი როლი ითამაშა მონობის გაუქმებაში ამერიკაში.

## 5 მაისიდან

## დევიდ ბექჰემი

## ჩემი მხრიდან




მაგარ ყდაში ჩასმული დევიდ ბექჰემის 500-გვერდიანი ავტობიოგრაფიული წიგნი ცნობილი ფეხბურთელის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს.

ბექჰემი გულახდილად ყვება როგორც თავისი კარიერის, ასევე პირადი ცხოვრების, ოჯახის, მის გარშემო აგორებული სკანდალების, სირთულეებისა და გამართლებების შესახებ.

**წიგნის სპეციალური ფასი 6,5 ლარი**

**გაზეთთან ერთად 7 ლარი**


## ჟოზე მაურინიომ ლესტერს ჩემპიონობა მიულოცა



ორშაბათს, მას შემდეგ რაც ტოტენჰემმა ვერ შეძლო ჩელსის დამარცხება, ლესტერი ოფიციალურად ინგლისის ჩემპიონი გახდა.

ლესტერის ჩემპიონობა საფეხბურთო სამყაროში უდიდესი მოვლენაა, ამიტომ მას ბევრი გამოხმაურება მოჰყვა.

ლესტერს ჩემპიონობა ჩელსის ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიომაც მიულოცა, რომლის თქმით, ლესტერი ნათელი მაგალითია იმის, რომ ფეხბურთში ყველაფერს ფული არ წყვეტს.

მაურინიომ დაამატა, რომ მას ძალიან ენატრება ინგლისის ჩემპიონატი, ამიტომ ის მომავალში აუცილებლად დაბრუნდება ნისლიან ალბიონზე.

პრესაში დიდი ხანია ვრცელდება ინფორმაცია, რომ მაურინიო მომავალ წელს მანჩესტერ იუნაიტედის თავკაცი გახდება.

## ჯეიმი ვარდი ინგლისში წლის ფეხბურთელად დაასახელეს




ჯეიმი ვარდი წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენაა. ფეხბურთელმა, რომელსაც ერთი წლის წინ თითქმის არავინ იცნობდა, პრემიერ ლიგის რეკორდის დამხობა მოახერხა და ლესტერის ჩემპიონობაც დიდწილად მისი დამსახურებაა. რამდენიმე დღის წინ ჟურნალისტებმა ვარდი ინგლისის წლის ფეხბურთელად აღიარეს, გამოკითხვის შედეგად, რომელშიც ვარდიმ ხმების 36% მიიღო.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## მაილი საირუსი სხეულზე პლანეტებს იხატავს



ამერიკელმა მომღერალმა მაილი საირუსმა თავისი სვირინგების კოლექცია შეავსო. ამჯერად მან ხელზე მზის სისტემის პატარა პლანეტა ამოასვირინგებინა და მისით ინსტაგრამში მოიწონა თავი.

სოციალურ ქსელში მაილიმ გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ხელზე ამოსვირინგებული პლანეტაა გამოსახული. მომღერალმა სურათს თან დაურთო წარწერა „იუპიტერი“, თუმცა, ვინც მზის სისტემის პლანეტებში ოდნავ მაინც ერკვევა, აშკარად შენიშნავს, რომ საირუსს ხელზე სატურნი აქვს ამოსვირინგებული. ოდნავ მოგვიანებით მომღერალმა წარწერა შეცვალა და მიანიშნა, რომ თითქოსდა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად მაილი საირუსს სხეულზე 44 სვირინგი აქვს გაკეთებული. პირველი სვირინგი მის სხეულზე 17 წლის ასაკში გაჩნდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## იუმორი



კაცი ქალს ეუბნება:

– იცით, ერთ ფრანგ მსახიობს მაგონებთ.

– მართლა? რომელს? – კეკლუცად ეკითხება ქალი.

– სამ მუშკეტერში დარტანიანის ცხენს.

•••

ორი ნარკომანი ტყეში სეირნობს. ერთ-ერთი ბუნებრივმა მოთხოვნილებამ შეაწუხა და იქვე ბუჩქებს მოეფარა. ცოტა ხანში მეგობარს გამოსძახა:

– ქაღალდი ხომ არ გაქვს?

– რათ გინდა, ტო, უნდა შეფუთოოოო?

•••

ოცი წლის მერე სახლში დაბრუნებულ შვილს მამა ეკითხება:

– აბა, შვილო, რა ისწავლე?

– ცხოველების ენა ვისწავლე, მამი.

ამ დროს ძროხამ დაიბღავლა. მამა ეკითხება:

– რაო, რა მინდაო?

– რა და იქნებ ბალახი დამიყაროთო.

კაცმა ძროხას ბალახი დაუყარა. ამ დროს ცხენმა დაიჭიხვინა.

– ამას რაღა უნდა?

– ცხელა და ჩრდილში გადამაბითო.

კაცმა ცხენი ჩრდილში გადააბა. ამ დროს ბატებმა ყიყინი დაიწყეს. შვილი მამას ეუბნება:

– იძახიან, რამდენი ხანია, სუფთა წყალში აღარ გვიცურავიაო.

ამ დროს ვირმა დაიწყო ყროყინი. მამა შვილს ეუბნება:

– მაგას არ დაუჯერო, შვილო, შენს თავს ვფიცავ, აფერისტია...

## ლუის ენრიკე 2017 წლამდე ბარსელონაში რჩება



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ლუის ენრიკემ განაცხადა, რომ ის ბარსელონაში მინიმუმ 2017 წლამდე დარჩება.

ეს იმას ნიშნავს, რომ ლუის ენრიკე ბარსელონაში კიდევ ერთ სეზონს იმუშავებს, ხოლო თუ რა მოხდება ამის შემდეგ, ესპანელ სპეციალისტს ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს.

ლუის ენრიკემ ბარსელონა 2014 წლის ზაფხულში ჩაიბარა და შარშანდელ სეზონში კატალონიურ გუნდთან ერთად უდიდეს წარმატებას მიაღწია, როდესაც ესპანეთის ჩემპიონატის, თასის და ჩემპიონთა ლიგის მოგება შეძლო.

წელს ბარსელონა უკვე გამოეთიშა ჩემპიონთა ლიგას, მაგრამ ლუის ენრიკეს გუნდს ესპანეთის ჩემპიონატის და თასის მოგების კარგი შანსი აქვს.

## როჯერ ფედერერს ტრავმა აწუხებს

დიდი სლემის 17-გზის გამარჯვებულს, ლეგენდარულ შვეიცარიელ ჩოგბურთელს როჯერ ფედერერს ზურგის ტრავმა აწუხებს, რის გამოც მან მადრიდის მასტერსის ტურნირი გამოტოვა.



როჯერი მადრიდში სათამაშოდ ჩავიდა, მაგრამ ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ტკივილი იგრძნო, რის შემდეგაც გადაწყვიტა, რომ ამ ტურნირზე მონაწილეობა არ მიეღო. ფედერერის თქმით, წინ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ტურნირია, ამიტომ მას არ სურდა, გაერისკა.

ფედერერი რამდენიმე თვეში 35 წლის გახდება, მაგრამ ჯერჯერობით არ აპირებს ჩოგბურთიდან წასვლას და ამჟამად რეიტინგში ის მესამე პოზიციაზე, რაც, თუ მის ასაკს გავითვალისწინებთ, შესანიშნავი შედეგია.

## კრიშტიანო რონალდუ სიტისთან ითამაშებს




მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ კრიშტიანო რონალდუ სრულიად გამოჯანმრთელდა და ის მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ თამაშს შეძლებს.

მიუხედავად ამ სასიხარულო ამბისა, რეალს მაინც აქვს პრობლემები შემადგენლობასთან დაკავშირებით, რადგან ბენზემას თამაში სიტისთან თითქმის გამორიცხულია, კაზემიროს კი რეალ სოსიედადთან მცირე ტრავმა მიიღო და შესაძლოა ვერც ის ვიხილოთ მოედანზე.

ზიდანის თქმით ამ ორი ფეხბურთელის არყოფნა მისი გუნდისთვის დიდი დანაკლისია. რეალი – სიტის დაპირისპირება დღეს თბილისის დროით 22.45-ზე დაიწყება. გაიმართება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. სახელმწიფო აზიაში; 2. პირველი ქართველი მეტალურგი ქალი; 3. ციური სხეული; 5. ტყვედ წაყვანილი ქართველებისგან შემდგარი პრივილეგირებული ქვეითი ჯარი ოსმალეთში; 7. ქალაქი-მუზეუმი იტალიაში; 9. კანონებში არსებული წინააღმდეგობა, შეუსაბამობა; 13. სიცილიური სადესერტო ღვინო; 15. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი სივრცე; 16. პიტნითა და ყინულით შეზავებული რომი ან კონიაკი; 18. მღრღნელი ჭია, მატლის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად**: 4. საბილიარდოს მოსამსახურე პირი; 6. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 8. დანიის დედაქალაქი; 10. რომელიმე აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; 11. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 12. ძველბერძენი მოქანდაკე, სკულპტურა „ბადროს მტყორცნელის“ ავტორი; 14. ბაგირებზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი მდინარეზე; 17. ლუდის სასმელი კათხა; 19. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 20. დანადგარი, რომელშიც ხორციელდება ატომგულის გაყოფის ჯაჭვური რეაქცია; 21. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 22. სამძებრო პოლიციის აგენტი; 23. შიიტთა უმაღლესი სასულიერო პირი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

